ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 6 მაისი, 2022 №88 (8866) ფასი: 80 თეთრი

### ნიკა გვარამია: „დიდი პარადოქსია, ციხეში რომ არ ვზივარ“


გვ.5


გვ.5

### სასამართლომ „რუსთავი 2“-ს ნოდარ მელაძისთვის — 80.000, ხოლო ნანუკა ჟორჟოლიანისთვის 82.000 ლარის გადახდა დააკისრა

# „სააკაშვილი „ქართული ოცნებისთვის“ საფრთხეს აღარ წარმოადგენს“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „კობახიძესთან, მდინარაძესთან და თალაკვაძესთან სააკაშვილს ბოდიში ნამდვილად არა აქვს მოსახდელი“



## „რატომ არ შედის ზურაბიშვილი სააკაშვილთან, სასიკვდილოდ გაწირეს?!“



მურმან დუმბაძე: „შეიყვანონ თავიანთი ექიმები სააკაშვილთან, მათ დაადებინონ დასკვნა და იმოქმედონ“


გვ.3

### „სასწრაფოში დანიშნეს ადამიანი, რომელიც

## თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა“

ვატო სურგულაძე: „ტიკარაძე თუ ჩემი დასაცავი გახდებოდა, რას ვიფიქრებდი“


გვ.3



გვ.4

## „ნაცმოძრაობა ფსიქოზშია“

ანზორ აბრალავა: „პოდოლიაკი, არესტოვიჩი და არახამია უკრაინას არ ნიშნავს“


გვ.2

### ირაკლი ღარიბაშვილმა დონორთა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაში „უკრაინისთვის“ მიიღო მონაწილეობა

### ალეკო ელისაშვილი: „დიდი სირცხვილი იქნება, რომ სააკაშვილი ციხეში ჯანმრთელობის გამო მოკვდეს“


გვ.4

### გია გაჩეჩილაძე: „მინდა, კელი დეგნანს შეკითხვა დავუსვა“


გვ.3

1993230720223

**2** სალომე სამადაშვილი: „არ შეიძლება, „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანას მართავდეს“

**5** კოკა კაციტაძე: „მიხეილ სააკაშვილის საქმეზე გამოძიებას საგამოძიებო სამსახურის აგრძელებს“

**5** ლაგუნასთან მკვლელობის საქმეზე ბრალი კიდევ 4 პირს წაუყენეს

**6** რუსებმა რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე კონტროლი დაკარგეს

# „სააკაშვილი „ქართული ოცნებისთვის“ საფრთხეს აღარ წარმოადგენს“

## გია ხუხაშვილი: „კობახიძესთან, მდინარაძესთან და თალაკვაძესთან სააკაშვილს ბოდიში ნამდვილად არა აქვს მოსახდელი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



***– ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის თემა და მისი ავადმყოფობა აქტუალობას არ კარგავს. რამდენად სწორი პოზიცია უკავია ხელისუფლებას, რამდენად მართებულია ის განცხადებები რომლებსაც „ოცნების“ ლიდერებისგან ვისმენთ, რამდენად მძიმეა დღეს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

– მე არ ვარ ექიმი, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შევაფასო. მე ექიმების განცხადებებს ვენდობი. როგორც ჩანს, მდგომარეობა არ არის მარტივი. არ ვიცი, რამდენად კრიტიკულია, მაგრამ მარტივი არ არის. ადამიანის ორგანიზმი სუსტია, შესაძლოა, არც არაფერს არ ელოდი და უცბად რაღაცა დაემართოს. ამის რისკი ყოველთვის არსებობს ასეთ ვითარებაში. რაც შეეხება ზოგადად დამოკიდებულებას, სააკაშვილის თემა სამი განზომილებისაგან შედგება. ეს არის პოლიტიკური, სამართლებრივი და ჰუმანიტარული. რაც შეეხება პოლიტიკურსა და სამართლებრივს, მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერმა უკვე აზრი დაკარგა, თუ ჩვენ სახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ.

***– რატომ დაკარგა აზრი?***

– იმიტომ, რომ სააკაშვილი, დღეის მდგომარეობით, არც პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს ვინმესთვის და არც პოლიტიკური აქტივია მეორე მხარისთვის. ამიტომ ეს ფურცელი უკვე უნდა გადავშალოთ, ისედაც მოჭარბებულად იყო შიდაქართულ პოლიტიკაში განმსაზღვრელ ფაქტორად. ამით კი ყოველთვის ზიანდებოდა პოლიტიკური პროცესი. ეს „ქართულ ოცნებას“ სჭირდებოდა, ამით იკვებებოდა.

***– დღემდე ცდილობენ, ამ თემამ აქტუალობა არ დაკარგოს. ვისმენთ შეფასებებს, რომ ნაცმოძრაობა გადატრიალებისათვის ემზადება, რომ უკრაინიდან ფინანსდებიან, სწორედ ამიტომ სჭირდებათ მიშა გარეთ და ასე შემდეგ.***

– კი, გასაგებია, რასაც ცდილობს ხელისუფლება, მაგრამ ამით ხომ სახელმწიფო ზიანდება. სადამდე შეიძლება ამ თემით აპელირება? რეალურად მიშა საფრთხეს აღარ წარმოადგენს „ქართული ოცნებისთვის“. მოდით, ვთქვათ ისიც, რომ არც ნაციონალური მოძრაობისთვის არის განსაკუთრებული აქტივი. მიშას ფაქტორი ვეღარ არის განმსაზღვრელი შიდა ქართულ პოლიტიკაში. ამიტომ ეს ფაქტორი უნდა მოიხსნას. რაც შეეხება სამართლებრივს, აქაც აზრი არა აქვს რამეზე ლაპარაკს, იმიტომ, რომ დღევანდელი მართლმსაჯულების ავტორიტეტი იმდენად დაბალია, ჩვენ რომ აქ სამართლიან მართლმსაჯულებაზე ვილაპარაკოთ, ამასაც აზრი არა აქვს. შესაბამისად, ამ კუთხითაც არ უნდა განვიხილავდეთ. ერთადერთი ასპექტი სააკაშვილის თემის ირგვლივ არის ჰუმანიტარული, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკითხი, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლების ვალდებულებაა. ხელისუფლება ვალდებულია, ნებისმიერი მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტორად გამოვიდეს, მით უმეტეს – პატიმრის.

***– ამ ფონზე კი „ოცნების“ მხრიდან ცინიკური განცხადებები გვესმის.***

– ეს განცხადებები ყოვლად წარმოუდგენელია. ისინი ისევ რჩებიან პოლიტიკაში, საუბრობენ ნიშნის მოგებით და რაღაც სადიზმის სუნი ტრიალებს. სადისტურ გამონათქვამებს ვისმენთ ძალიან ხშირად. როდესაც ადამიანი ასეთ მძიმე მდგომარეობაშია და შენ ნიშნისმოგებითა და აგდებით იწყებ საუბარს, ამან შეიძლება მხოლოდ დაამძიმოს მისი მდგომარეობა. გამოდის, რომ შენ გინდა, მას კიდევ უფრო მეტად ატკინო, ვიდრე დღეს სტკივა. აი, ამას ჰქვია სადიზმი!

***– მავნებლობაზეა გადასული ხელისუფლება?***

– ფაქტობრივად, ამასთან გვაქვს საქმე. სხვას სტკენენ და ეს სიამოვნებთ. მე არ ვიცი, სააკაშვილმა აქ უნდა იმკურნალოს თუ სადმე გაშვებას საჭიროებს. აქ სპეციალისტების დასკვნაა საჭირო. არ ენდობიან ამ კონსილიუმს? მაშინ თვითონ ჩამოაყალიბონ.

დღეს სააკაშვილის დანაშაულებზე საუბრობენ ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის დროსაც ბუჩქებში ისხდნენ. შესაბამისად, სააკაშვილს მათ მიმართ უპატიებელი არაფერი ჩაუდენია! მე რომ მქონდეს ასეთი შეგრძნება ან იმ ადამიანებს, რომლებიც მაშინ იმ რეჟიმს ვებრძოდით, კი ბატონო, ეს შესაძლოა კიდევ გასაგები იყოს. პირადად მე 2012 წელს დავამთავრე სააკაშვილთან ბრძოლა. ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა. ის ჩამოშორდა ხელისუფლებას და მეც ამით გადავშალე ახალი ფურცელი. ახლა კობახიძესთან, მდინარაძესთან და თალაკვაძესთან სააკაშვილს ბოდიში ნამდვილად არა აქვს მოსახდელი, იმიტომ, რომ ზოგი ყავას უდუღებდა, ზოგი ბუჩქებში იჯდა შეშინებული და ზოგიც კიდევ ცდილობდა, როგორმე შემძვრალიყო მასთან. აი, ეს ხალხი გამოდის დღეს სააკაშვილთან მებრძოლად, თან ამას აკეთებენ ისეთი ულირსი ფორმით, სადაც არც კაცობის, არც ადამიანობის, არც ერთი ღირსეული, კაცური თვისება აღარ ჩანს. ენაკვიმატობაზე არიან გადასული პატიმრის მიმართ. ეს წარმოუდგენელი რაღაცაა! კაცის მკვლელიც რომ იყოს პატიმარი, ასეთი ცინიკური დამოკიდებულება მიღებული არ არის. არაფერში ზის ის, როგორც ისინი იქცევიან.

***– სააკაშვილის სიცოცხლეს საფრთხე რომ დაემუქროს, ხელისუფლებასთან ერთად, ალბათ ქვეყანაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. ასეა?***

– რა თქმა უნდა, ასეა. ადამიანის სიცოცხლე ხომ ყველაზე მეტად ფასობს, ვინც არ უნდა იყოს ის. არ მესმის, რა ემოცია ან რა პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებთ, როდესაც ასე იქცევიან. მერწმუნეთ, საზოგადოების დიდ ნაწილსაც ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი და მათაც ვეღარ მოფხანს გულს. ყველგან თავი შეირცხვინეს, საერთაშორისო ასპარეზზე გინდათ თუ უკრაინასთან. თავი არსად გამოეყოფათ. მიშას გარდა, სხვა თემა, რითაც შეიძლება, ხელისუფლებაში ყოფნას რაღაც გამართლება უპოვონ, არა აქვთ. ამიტომ ეპოტინებიან მიშას თემას.

***– სააკაშვილს ასევე გამუდმებით უკავშირებენ უკრაინას.***

– მიშას თემაზე შეუძლიათ, ყველა კონტექსტში ილაპარაკონ, ხოლო სხვა თემებზე სათქმელი აღარ დარჩათ. ვერც კეთილდღეობა მოაქვთ ადამიანებისთვის, ვერც თავისუფლება, აბსოლუტურად ვერაფერი. ამიტომ ეპოტინებიან მიშას თემას და ამტკიცებენ, შესაძლოა, ჩვენ ცუდები ვართ, მაგრამ მიშა ჩვენზე უარესიაო.

***– უკრაინა ახსენეთ და ამ განცხადებების ფონზე, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ისმის, როგორ გამოვიყურებით?***

– პირდაპირ გეტყვით და სამარცხვინოდ! უკრაინა დღეს ომშია. მათი მხრიდან კრიტიკა თუ ისმის, თუნდაც უსამართლო იყოს, როგორ შეიძლება, ომში მყოფ ქვეყანას იმ ენაზე ელაპარაკო, როგორც ჩვენი ე.წ. მოღვაწეები ელაპარაკებიან! აბსოლუტურად ყველაფრის მიღმაა მათი რიტორიკა, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი ომიც არის, მხოლოდ უკრაინის ომი ხომ არ არის! ხომ გასაგებია, უკრაინა ამ ომს თუ წააგებს, რუსეთი მეორე დღესვე ჩვენ მოგვიტრიალდება. თუნდაც ეს მადლიერების გრძნობა არ უნდა ჰქონდეთ?! სწორედ ამიტომ მოდის ის პრეტენზიები და ეჭვებიც უკრაინიდან. ის რიტორიკა, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან ისმის, მხოლოდ რუსული პროპაგანდის მიერ არის მოწონებული. ჩვენი ხელისუფლება ისე იქცევა, მათ ქმედებებში ჩანს, რომ უფრო რუსებს გულშემატკივრობენ, ვიდრე უკრაინელებს. როდესაც სულ ლანძღავ უკრაინის ხელისუფლებას, აკრიტიკებ და სიტყვა არ დაგცდება რუსეთის ხელისუფლებაზე, რა უნდა იფიქროს საზოგადოებამ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, რა დასკვნები უნდა გააკეთოს? ის, რომ რუსეთს გულშემატკივრობ! რუსეთის წისქვილზე ასხამენ წყალს. ასეთია რეალობა.

***– თანაც იმ ფონზე, როდესაც კითხვარს ვავსებთ და ევროინტეგრაციისთვის ვემზადებით.***

– ესეც უკრაინის დამსახურებაა. ესენი 2024-მდე არც კი ფიქრობდნენ არაფერს. უკრაინის ამბებმა დააჩქარა ყველაფერი. კითხვარი შეავსეს ჩვენი სახელით და შიგნით რა ჩაწერეს, იმას გვიმალავენ. გაუგონარია პირდაპირ! ქართველი საზოგადოების სახელით რა უპასუხეს, იმას გვიმალავენ, არ გვაჩვენებენ. ამას ერთადერთი ახსნა აქვს.

***– რა ახსნა?***

– ეტყობა, ისეთი ტყუილები და სისულელეები წერია, რომ გამოქვეყნების რცხვენიათ.

# სალომე სამადაშვილი: „არ შეიძლება, „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანას მართავდეს“

„ლელოს“ დეპუტატ სალომე სამადაშვილის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე „ქართული ოცნების“ რიტორიკა და მათი განცხადებები იმაზე მეტყველებს, რომ მათთვის მორალური კრიტერიუმები არ არსებობს.

როგორც სამადაშვილმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, „ქართული ოცნება“ არ შეიძლება ხელისუფლების სათავეში იყოს, რადგან მათ „სახელმწიფოებრივი აზროვნება არ შეუძლიათ“.

– რაც შეეხება „ქართული ოცნების“ დეპუტატების ქცევას, ამ ხალხისთვის არ არსებობს არანაირი მორალური ან პოლიტიკური კრიტერიუმები და მხოლოდ ხელმძღვანელობენ იმ მითითებებით, რომლებსაც იღებენ, ჩვენ ეს ვიხილეთ, მათ შორის, მაგალითად, მაშინ, როდესაც ჩემს კოლეგა ბადრი ჯაფარიძეს მანდატი შეუწყვიტეს.

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ ადამიანს მაშინ მიაჩნდა, რომ არასწორ რამეს აკეთებდა, მაგრამ მაინც მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. ამიტომ, პირადად, არანაირი მოლოდინი არ მქონია, რომ პარლამენტში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მოიქცევიან ისე, როგორც სინდისი კარნახობთ და გადაუხვევენ იმ პოლიტიკურ ინსტრუქციებს, რომლებიც აქვთ მიღებული, – განაცხადა სამადაშვილმა.

მისი თქმით, პატიმრობაში მყოფი ადამიანის დაცინვა, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმებულია, „მორალური ფსკერია“.

– პატიმრობაში მყოფი ადამიანისთვის, რომლის ჯანმრთელობა და სიცოცხლე დღეს გამოწვევის წინაშეა, დაცინვა და ქილიკი, ჩემი აზრით, არის მორალური ფსკერი, რომელიც, რაც მთავარია, კონტრპროდუქტიულია.

როდესაც მმართველ პარტიას წარმოადგენ და ვერ იაზრებ იმას, რომ პოლარიზება ქვეყანაში, რომელიც ისედაც მწვავე გამოწვევაა, კიდევ უფრო არ უნდა გააღრმაო მსგავსი რიტორიკით, ეს მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ არ შეიძლება ამ ქვეყანას მართავდეს, რადგან ამ ხალხს სახელმწიფოებრივი აზროვნება არ შეუძლია, – განაცხადა სამადაშვილმა.

# ირაკლი ღარიბაშვილმა დონორთა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაში „უკრაინისთვის“ მიიღო მონაწილეობა

**საქართველოს პრემიერმა კონფერენციაზე ასეთი სიტყვა წარმოთქვა:**

დიდი მადლობა!
ძვირფასო კოლეგებო,
ძვირფასო მეგობრებო,
პატივცემულო სტუმრებო!

პირადად მოვახსენებ მადლობას ჩვენი ღონისძიების მასპინძელ პრემიერ-მინისტრებს მორავიეცკისა და ანდერსონს, ასევე ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პატივცემულ პრეზიდენტებს. თქვენ ხართ საქართველოს ერთგული პარტნიორები ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

ჩვენ ვგმობთ რუსეთის სრულმასშტაბიან სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც მკაფიოდ და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლისა და გაეროს ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს. უკრაინაში ომის შედეგები განსაზღვრავს ევროპის უსაფრთხოების სამომავლო არქიტექტურას და საფუძველს უყრის უსაფრთხოების ახალ ჩარჩოს ჩვენს რეგიონში და მის საზღვრებს გარეთ.

ომმა უკრაინაში მძიმე ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია რეგიონში, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებისგან ითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას. ჩემი მთავრობა უპირობო სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს. ჩვენ მოვახდინეთ ყველა ჩვენი რესურსის მობილიზაცია ამ დამანგრეველი ომის შედეგების შესამსუბუქებლად. ჩვენ მტკიცედ ვდგავართ საერთაშორისო საზოგადოების გვერდით და სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას. ჩვენ მომავალშიც დავუჭერთ მხარს უკრაინას როგორც პოლიტიკური, ისე პრაქტიკული კუთხით, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.




საქართველომ უკვე გამოყო 7 მილიონი აშშ დოლარი და ჩვენ ვაგრძელებთ ომის შედეგად დაზარალებული და ამჟამად საქართველოში მცხოვრები 28.000 უკრაინელის დახმარებას. საჰაერო და სახმელეთო გზებით უკრაინაში გაიგზავნა 500 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი. ჩემი მთავრობა დახმარებას უწევს დევნილებს უკრაინიდან, რა მიზნითაც უკრაინის მოქალაქეთათვის უზრუნველვყოფთ დაბინავებას, აუცილებელ პროდუქტებს, ტანსაცმელს, საკვებს, სამედიცინო დახმარებას, ასევე სკოლებისა და ბაღების ხელმისაწვდომობას. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი მოძმე ერის დახმარებას, რისთვისაც 2022 წლის ბოლომდე დამატებით გამოვყოფთ კიდევ 7 მილიონ აშშ დოლარს.

გარდა ამისა, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები ასევე სთავაზობენ უკრაინის მოქალაქეებს დაბინავებას, საკვებს, ტანსაცმელს და სხვა სახის დახმარებას. უკრაინის ეროვნული ფოსტის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზეა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარების მიმწოდებელ 191 ქვეყანას შორის.

კვლავ დავძენ, რომ საერთაშორისო საზოგადოების ერთობა უკრაინის აქტიური დახმარების მიმართებით გადაუდებელი და აუცილებელი საკითხია.

უკრაინელ ხალხს მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ!

გმადლობთ!

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რატომ არ შედის ზურაბიშვილი სააკაშვილთან, სასიკვდილოდ გაწირეს?!“

## მურმან დუმბაძე: „შეიყვანონ თავიანთი ექიმები სააკაშვილთან, მათ დაადებინონ დასკვნა და იმოქმედონ“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ნაცმოძრაობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, არ ჩამოყალიბდნენ, როგორც „ზონდერჯგუფები“ — ვერც თაკო ჩარკვიანმა მიაღწია ხალხის ლეიბებით ქუჩაში გაწოლას. აქციებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა?***

— ქუჩა, მიტინგი, პროტესტი, მიკროფონი, ხალხის განწყობები, რუსთაველის გამზირი — ეს არ არის ის სფერო, რომელზეც გია ვოლსკიმ უნდა ილაპარაკოს. ეს ყველაზე სუსტი ადგილია მისთვის. მისი სფერო ხელისუფლებისთვის დითირამბების მიძღვნაა. აქ არის ის ძლიერი, ეს არის მისი ძლიერი მხარე. არასდროს არ გაუპროტესტებია არაფერი. ყოველთვის კმაყოფილი იყო. ის კმაყოფილი იყო მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც და კმაყოფილია ბიძინა ივანიშვილის მმართველობის დროსაც. ორივე შემთხვევაში ძალაუფლება ჰქონდა. ორივე შემთხვევაში კარგად იყო. მე სააკაშვილის დროსაც ოპოზიციაში ვიყავი და ივანიშვილის დროსაც, რადგან მივხვდი, ეს არ იყო ის, რაზეც ვოცნებობდი. ასე იყო ერთ შემთხვევაშიც და ასეა მეორე შემთხვევაშიც.

რას ვითხოვთ ჩვენ, რომ არ მოვკლათ მესამე პრეზიდენტი, როგორც მოვკალით ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომელიც ძალიან ძვირი დაგვიჯდა. ამის გააზრებას ვთხოვთ დღევანდელ ხელისუფლებას. ძალიან რთული შედეგები დადგება, ისეთი, რომ ამას ვერ გაუძლებს ქვეყანა.

არ მესმის, ადამიანის, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რატომ უნდა ვითამაშოთ არიოლ-რეშკა, თუ სახელმწიფო ვართ?! თუ ხელისუფლება ხელისუფლობს?! თუ ხელისუფლება თავის მოქმედებაში თავისუფალია?!

***— ირაკლი კობახიძის განცხადებები თქვენთვის რამდენად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს ამ მიმართულებით?***

— კობახიძეზე საერთოდ არ მინდა საუბარი, რადგან, როგორც ჩანს, ძალიან ცუდად არის, ვერ აცნობიერებს ვერაფერს. არ სჯერათ, კი ბატონო, მოიყვანონ თავიანთი ექიმები, მათ დაადებინონ დასკვნა და იმოქმედონ, მაგრამ არა, ეს არ უნდათ. მე მჯერა ექიმების, რადგან მათთვის ადამიანის სიცოცხლეა მთავარი, მისი გადარჩენა. სააკაშვილი დღეს რომ პოლიტპატიმარია, ამაზე უკვე აღარავინ დავობს. ეს თუნდაც მისი ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულებამაც გამოავლინა, რომელიც ხელისუფლებას აქვს.

ვალერი გელაშვილის ცემისთვის უნდა მოიხადოს სასჯელიო. ვალერი გელაშვილი მას არ უჩივის. ბიძინას დროს რამდენი ვინმე იცემება, მაშინ, გამოდის, ბიძინაც უნდა დავიჭიროთ, ციხეში ჩავსვათ და გია ვოლსკიც გვერდით მივუსვათ. ასე უნდა მოვიქცეთ, როდესაც „ქართული ოცნება“ აღარ იქნება ხელისუფლებაში, მაგრამ მე ამის მომხრე არასდროს არ ვიქნები და, თუ ასე მოხდება, პირველი გამოვალ და გავაპროტესტებ.



რაც შეეხება კიდევ ერთ, 7 ნოემბრის საქმეს, ძალიან ცუდი იყო. არავის აქვს ტელევიზიაში შევარდნის უფლება. მე ვიდექი 7 ნოემბერს ქუჩაში და ვიცი ყველაფერი. მე ვაპროტესტებდი 7 ნოემბერსაც, მაგრამ მაშინ სააკაშვილი გადადგა და არჩევნები დანიშნა.

რაც შეეხება ე.წ. პიჯაკების საქმეს, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სირცხვილია. ამიტომ არის სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარი და ის უნდა გათავისუფლდეს, საერთოდ რომც არ ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემა. ფრჩხილიც რომ არ სტკიოდეს, ის უნდა გათავისუფლდეს.

არც ერთ პრეზიდენტს ნორმალური ძილის საშუალება არ მივეცით, სხვათა შორის, არც გიორგი მარგველაშვილს, რომელსაც პოლიტიკური ნიშნით მოუხსნეს დაცვა და ყველაფერი, რაც ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნის. სალომე ზურაბიშვილსაც ვაფრთხილებ, მასაც არ ელოდება მშვიდი ყოფა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.

***— სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომ თუ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა იქნება, ჩაერთვება, თქვენთვის იმედისმომცემია?***

— არანაირად. როგორც ჩანს, ზურაბიშვილი არ არის თავის მოქმედებებში თავისუფალი. როგორც მოქმედი პრეზიდენტი, მესამე პრეზიდენტთან რატომ არ მივიდა?! რატომ არ ნახა საკუთარი თვალით, რა ხდება, იქნებ მართლა ცუდად არის და სასიკვდილოდ გაწირეს?! რატომ არ დაინტერესდა, რომ მერე დამოუკიდებლად, ნეიტრალურად მიეღო გადაწყვეტილება. თავისი ნდობით აღჭურვილი ექიმები მაინც შეუშვას და მათგან მიიღოს ინფორმაცია. ან საერთოდ რა იყო „ქართული ოცნების“ დეპუტატი ექიმების პასუხი სააკაშვილის შეთავაზებაზე, რა სამარცხვინო იყო. რა ედგა წინ მათ შესვლასა და მონახულებას. ჰიპოკრატეს ფიცი არა აქვთ გააზრებული. ომსაც კი თავისი კანონები აქვს. ომშიც კი არის რაღაც ისეთი, როდესაც ადამიანის სიცოცხლე უნდა გადარჩეს. წითელი ჯვარი შედის და დაჭრილები გამოჰყავს ბრძოლის ველიდან. აქ რა ხდება, რა ასეთი ბრძოლის ველი გვაქვს. ძალიან ცუდ სახეს იღებს ეს ყველაფერი.

# „სასწრაფოში დანიშნეს ადამიანი, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა“

## ვატო სურგულაძე: „ტიკარაძე თუ ჩემი დასაცავი გახდებოდა, რას ვიფიქრებდი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში ვატო სურგულაძე პასუხობს.**



***— ბატონო ვატო, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პროცესები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარეობს. ახალმა ჯანდაცვის მინისტრმა აქტიურად დაიწყო კლინიკების კონტროლი, ყველგან აუდიტი შევიდა, მოხსნილია ზოგიერთი კლინიკის ხელმძღვანელი. ერთი მილიარდი ლარია გაფლანგულიო. რას ნიშნავს ეს განცხადებები, როგორია თქვენი შეფასებები?***

— ხდება ის, რომ მოვიდა ადამიანი, რომელმაც არ იცის, რა გააკეთოს და დაიწყო იმით, რაც ესმის და ეს არის ფინანსები. შესაძლოა, ფინანსები ესმის, მაგრამ ჯანდაცვა არ ესმის, არ იცის, როგორ ხდება აქ ფინანსების გადანაწილება და ბრუნვა. რეალურად ეს ჰგავს რაღაც კლანურ ჭიდაობას ტიკარაძესა და ღარიბაშვილს შორის. იმ კლინიკებში, რომლებიც ოთხი-ხუთი წლის წინ წამყვანად ითვლებოდა, რომლებიც იყო ეპიდემიასთან ბრძოლის ჩვენი ფლაგმანი, უცებ აღმოჩნდა, რომ მილიარდი დაიკარგა. ჯერ ერთი, ასეთ განცხადებას რომ აკეთებ, ამას დასაბუთება სჭირდება.

***— ასე ვთქვათ, ღარიბაშვილმა აუნთო მწვანე ახალ მინისტრს და მან დაიწყო შეტევა კლინიკებზე?***

— დიახ, ასეა და დაიწყეს იმ თანხების უკან მობრუნება, რომლებიც კლინიკებს გადაუხადეს. ის არის ფინანსისტი, არ არის ექიმი და მას ჯანდაცვაში საერთოდ არაფერი არ ესმის.

***— ითქვა ისიც, რომ როგორც ფინანსისტი ჯანდაცვაში არსებულ პრობლემებს მოაგვარებს.***

— რას მოაგვარებს? კარგით, რა! ვერაფერსაც ვერ მოაგვარებს. კაცი საერთოდ აზრზე არ არის, რა არის ჯანდაცვა! სამი-ოთხი წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ტიკარაძის დამცველად გამოვიდოდი, მაგრამ ერთადერთი, რაც სწორად გააკეთა ტიკარაძემ, იყო ის, რომ კლინიკებს დაუფინანსა ცარიელი საწოლები. შესაძლოა, ის არ იყო დაკავებული, მაგრამ სხვაც ვერ დაიკავებდა, თუ კოვიდპაციენტი არ იყო.

***— იქნებ ჰქონდა ადგილი საწოლების რაოდენობის შეგნებულად გაზრდასა და არამიზნობრივ ხარჯებს?***

— კლინიკებს თანხა რომ მისცეს, შემდეგ უკვე მისი პრეროგატივა იყო ამ თანხების გადანაწილება, ხოლო თუ რეალურად 30 საწოლი ჰქონდა და 50 მიუთითა, ეს სხვა საქმეა. ამას კვლევა დასაბუთება სჭირდება. ეს თაღლითობა და სახელმწიფო თანხების მოპარვაა.

***— ანუ თქვენ ამ სიტუაციაში ტიკარაძის ბრალეულობას ვერ ხედავთ?***

— ამ კონკრეტულ საკითხში, რომელზეც ახლაა საუბარი, ცარიელ საწოლებზე, ამ გადაწყვეტილებას მაშინაც მივესალმე და ახლაც მივიჩნევ, რომ სწორი იყო. რაც რეალურად კარგია, იმას არავის არ ვუკარგავ. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომ კლინიკები ფინანსურ კრიზისში არ ჩამდგარიყვნენ ეპიდემიის გამო. სწორი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ბევრი კლინიკა არ დახურულიყო ფინანსური კრიზისის გამო. მთელი ოთხი წელი რომ აქებ ამ ექიმებს, გაიძახი, რომ ესენი არიან, ვინც არიან და ახლა აღმოაჩინე, რომ ინფექციურშიც პრობლემებია, რესპუბლიკურში ყველა მოხსენი, ეს რამდენად სწორია, არ ვიცი.

***— რესპუბლიკური საავადმყოფოდან ძალიან ბევრი გაუშვეს — კლინიკის ხელმძღვანელი, მთავარი ექიმი. რატომ, რა ხდებოდა ასეთი ამ კლინიკაში?***

— რესპუბლიკური საავადმყოფო ერთ-ერთი წამყვანი ძალა იყო კოვიდპანდემიის დროს. მთელი ხელმძღვანელობა გაუშვეს.

***— რა მოხდა ასეთი?***

— შეტევა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, იქ არ იყვნენ მათი კადრები. ახლა მიდის გადანაწილება და ყველგან თავიანთი ხალხის დანიშვნა. მთელ სამინისტროში აბსოლუტურად ყველა სიპისა და მმართველი სტრუქტურის ხელმძღვანელი მოიხსნა. სასწრაფოში დანიშნეს ადამიანი, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა. ჯანდაცვის ეროვნულ სააგენტოშიც მოხსნეს ის ქალი, ტიკარაძის დასმული რომ იყო. რეგულაციის სააგენტოში კაპანაძე მოიხსნა და ჯერ არავინაა დანიშნული. აბსოლუტურად ყველა ძველი კადრი გაუშვეს.

***— თამარ გაბუნია რატომ არ მოხსნეს, ის ხომ წამყვანი ფიგურა იყო?***

— გაბუნიასაც მალე გაუშვებენ, აი, ნახავთ, თუ არა. ახლა გაბუნიას გარეშე ახალი მინისტრი სიტუაციაში ვერ გაერკვეოდა, სჭირდებოდა. მოვიდა თუ არა ფინანსისტი, იქვე მოხსნა წოწკოლაური. ამასაც მოხსნიდა, მაგრამ დროებით ვიღაც ხომ უნდა დაეტოვებინა, ვისაც ოდნავ ჭკუა მოეკითხება.

***— ვთქვათ, მართლაც დააშავეს. მხოლოდ მოხსნა შველის საქმეს?***

— ალბათ ძიება გაგრძელდება. არ ვიცი, რას იპოვიან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვერაფერს გეტყვით, მე არა ვარ პროკურორი. თუმცა ჯერ უნდა დაამტკიცო, უნდა ნახო, რა მოხდა, დადო შესაბამისი დოკუმენტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო კონკრეტული ზომები. ჩვენმა ექიმებმა მართლაც გმირულად იშრომეს.

***— რას იტყვით ინფექციურ საავადმყოფოსა და თენგიზ ცერცვაძეზე? მან განაცხადა, რომ შესაძლოა დატოვოს თანამდებობა, რადგან ძალიან შეურაცხყოფილია.***

— ალბათ ისეთი ბრალდება წარუდგინეს, რაც ამ კაცმაც ველარ მოითმინა. ცერცვაძეს ადრეც ბევრჯერ უნდოდა წასვლა, გვახსოვს ასეთი განცხადებები, მაგრამ რატომლაც პრემიერ-მინისტრთან საუბრის შემდეგ დაბრუნდა.

***— ტიკარაძე უშუალოდ ივანიშვილის კადრი იყო და ასე ღიად დაუპირისპირდებიან?***

— მერე რა, რომ ივანიშვილის კადრი იყო. სხვაც ბევრი იყო ივანიშვილის კადრი. ყველა მისი კადრი არ არის? თუმცა ვნახეთ, როგორ მოისროლეს ყველა. ამიტომ ეგ არაფერსაც არ ნიშნავს.

***— საკმაოდ მსუყე თანხაა, მილიარდი ტყუილად დაიხარჯაო.***

— რატომ მილიარდი? იქნებ 500 მილიონი ან 2 მილიარდი? ვინ შეისწავლა, ვინ გამოიძია, სად არის დოკუმენტები და მტკიცებულებები?! არ შეიძლება ასე ხელაღებით ასეთი განცხადებების კეთება. ჯანდაცვა ძალიან მგრძნობიარე უწყებაა. რას ნიშნავს ახლა ეს ყველაფერი? მე მომეცი ფული და მითხარი, რომ 100 ლარს მიხდი ცარიელ საწოლში. ახლა რას ნიშნავს, რომ არამიზნობრივად დაიხარჯა?! კლინიკის ხელმძღვანელი რომ ვარ, ამ კუთვნილ თანხას, რომელიც გამომიყო ბიუჯეტმა, საჭიროებისამებრ დავხარჯავ. უამრავი ხარჯი აქვთ კლინიკებს. თუ ნაკლები საწოლი ჰქონდა კლინიკას და მეტი მიუთითა, ეს პრობლემაა, მაგრამ, სხვა შემთხვევაში, კლინიკები რა შუაშია?! ტიკარაძე თუ ჩემი დასაცავი გახდებოდა, რას ვიფიქრებდი. აბა ვნახოთ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი.

***— რით დამთავრდება? დაპატიმრებებიც ხომ არ მოჰყვება ამ ყველაფერს?***

— შესაძლებელია. გამორიცხული არაფერია. ჩვენს ქვეყანაში ხომ ყველაფერი მოსულა. თუმცა მანამდე უნდა დაიდოს კონკრეტული დოკუმენტები, ვინ რამდენი მოიპარა, თუკი მოიპარეს.

# გია გაჩეჩილაძე: „მინდა, კელი დეგნანს შეკითხვა დავუსვა“

— მინდა, შეკითხვა დავუსვა ქალბატონ კელი დეგნანს — მომხრეა თუ არა ის საქართველოში მეორე ფრონტის, მომხრეა თუ არა სააკაშვილის გამოშვებისა და მომხრეა თუ არა რიგგარეშე არჩევნების.

ამის შესახებ მუსიკოსმა გია გაჩეჩილაძემ „იმედი ლაივში“ განაცხადა.

მისი თქმით, ამ კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სახალხო დამცველიც არის — „კი ბატონო, ეს მთლიანი დიდი კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს, თვითონ თქვა, ამ ქვეყანაში რყევებსა და უბედურებებს“.



— მინდა, შეკითხვა დავუსვა ქალბატონ კელი დეგნანს, მართლა მაინტერესებს, ვფიცავ ყველაფერს, მომხრეა თუ არა ის საქართველოში მეორე ფრონტის, მომხრეა თუ არა სააკაშვილის გამოშვებისა და მომხრეა თუ არა რიგგარეშე არჩევნების.

არ ვიცი, სახალხო დამცველი გერქვას, მარტო სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ფიქრობდე, გული გისკდებოდეს და სხვა ადამიანები ვითომც არც ყოფილან პატიმრები და არც არასდროს არ იქნებიან, ისე იქცეოდე, ეს ხომ ყველა ადამიანმა, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ძალიან კარგად იცის, რომ ასეა.

ეს ხომ საზოგადოებამ, ხალხმა ყველაზე უფრო კარგად იცის და თუ დღეს ეს ლაპარაკი, შიგნიდან ავრევთ, გარედან ავრევთ, ასე ფიქრობენ, ვერ არევენ, იმიტომ, რომ გავლილი აქვს ხალხს 30 წლის განმავლობაში ეს ყველაფერი. იმ მდინარეში უკან არ დავბრუნდებით, გამორიცხულია ეს ამბავი. გამორიცხულია და არც ჩვენ ქვეყანას არ ჩავითრევთ არანაირ ომში, ვისაც როგორ არ უნდა უნდოდეს, — განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

# „ნაცმოძრაობა ფსიქოზშია“

## ანზორ აბრალავა: „პოდოლიაკი, არესტოვიჩი და არახამია უკრაინას არ ნიშნავს“

მარიამ მჭედლიშვილი

ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.

***– საქართველოში სხვადასხვა პარტია სხვადასხვა თემას აქტიურებს. რას იტყვით ამ საკითხზე? რამდენად ადეკვატურები არიან პარტიები (მმართველი გუნდი, ოპოზიცია) ამჟამად შექმნილ რთულ სიტუაციაში?***

– აზრების გამოთქმის თავისუფლება ყველას უნდა ჰქონდეს. პარტიებს ამას ვერ აუკრძალავ. პარტიები ზოგჯერ ადეკვატურები არიან, ზოგჯერ – არა, ხშირად ქვეყნისთვის საჭირბოროტო პრობლემებზე არ მსჯელობენ. შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ერთი პარტია მუდმივად არაადეკვატურია. ეს არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ეს პოლიტიკური ორგანიზაცია ახლაც უცნაურად და ანტისახელმწიფოებრივად იქცევა და ადრეც ასე იქცეოდა. კონფრონტაციულობა და უზომო ამბიციურობა ნაციონალური მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია. ამის თქმა არ მსიამოვნებს, მაგრამ ნაცმოძრაობა ფსიქოზშია. ამას ადასტურებს მისი წევრების გამოხდომები.

***– მათი ახლანდელი ემოციური მდგომარეობა გასაგებია. არ კმაყოფილდება მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის შესახებ. ამ მოთხოვნით საპროტესტო აქციები წამოიწყო როგორც სააკაშვილის ოჯახმა, ისე – ნაცმოძრაობამ.***

– ადამიანურად ეს მესმის. სააკაშვილის უფლებები და ჯანმრთელობა დაცული უნდა იყოს. დიაგნოზზე ვერ ვისაუბრებ. ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება და მედიკოსების საქმეა. ხელისუფლებას შეუძლია ციხეში ექიმებისა და ექსპერტების შეყვანა და ამის დეტალურად გარკვევა. ნაცმოძრაობას აქვს ორი ამოცანა: სააკაშვილის გათავისუფლება და სიტუაციის ესკალაცია ხელისუფლებაში მოსასვლელად. ოჯახი სხვაა. ოჯახის წევრების პოლიტიკურ გეგმებზე არ ვლაპარაკობ. მათ მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში გადაყვანა უნდათ და საბოლოოდ – გათავისუფლებაც. ნაცმოძრაობა ამ პროცესში ფსიქოზს ავლენს. მას უერთდებიან შემთხვევითი პერსონები.




***– შემთხვევით პერსონას ვის უწოდებთ?***

– გიორგი მარგველაშვილს. ეს ადამიანი შემთხვევით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური შეცდომის შედეგად გახდა პრეზიდენტი. ეს კაცი ივანიშვილის ხათრით აირჩიეს. ახლა ის ჩაბმულია ნაციონალური მოძრაობის ზრახვებში.

***– რადგან ამ თემას შეეხეთ, ამასაც გკითხავთ: მარგველაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე მასთან საუბრები არ ყოფილა. დავუშვათ, რომ ასეთი შეთანხმება ხერხდება და მარგველაშვილი ხდება პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე. როგორ განვითარდება მოვლენები?***

– ნაციონალურ მოძრაობას ამით არაფერი შეემატება. ურეიტინგობასთან ერთად, მარგველაშვილი აღმოჩნდა არასტაბილური, უპრინციპო ტიპაჟი. მას სააკაშვილის მიმართაც კი არა აქვს მყარი პოზიცია, ხან ერთს ამბობს და აკეთებს, ხან – მეორეს, ეტყობა, კონიუნქტურა და სარგებელი ამოძრავებს. ნაცმოძრაობასაც არ ეზრდება მხარდაჭერა, პირიქით.

***– უკრაინის ომმა რამე შეცვალა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში?***

– თითქმის არაფერი. ბევრი რამ უცვლელად დარჩა. სიახლეებისთვის კარი და ტრიბუნა ისევ დახშულია. სიახლე პოლიტიკაში ყოველთვის ახალ ფიგურებს და ძალიან ახალგაზრდებს არ ნიშნავს. მთავარია ახალი და სწორი იდეები. პოლიტიკაში უნდა იყოს ახალი იდეები, ახალი ეკონომიკური პროგრამები, ხალხზე მეტი ზრუნვა. საზოგადოება აქტიურობს სოციალურ თემებზე, მაგრამ ის არ არის პოლიტიკურად აქტიური. საქართველოში პოლიტიკურ ველზე ყველაფერი განსაზღვრულია. ფაქტობრივად, არსებობს პოლიტიკური კონცერნი, სადაც სხვას არ უშვებენ. ეს ცუდია ხელისუფლებისთვის. ეს დამყაყებული მდგომარეობა ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. ნათქვამია, რომ ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. განახლება სჭირდება მმართველ პარტიასაც და პოლიტიკურ სპექტრსაც.

***– უკრაინასთან ისედაც არ იყო დალაგებული ურთიერთობა. პოდოლიაკის განცხადებებს თბილისში პასუხები მოჰყვა და სიტუაცია უფრო აირია.***

– ეს გულსატკენია. მანამდეც ბევრი უსაფუძვლო ბრალდება მოვისმინეთ. არ შეიძლება, სხვა ქვეყანა მოგიწოდებდეს, მეორე ფრონტი გახსენიო. ჩვენ რამდენიმე ომი გამოვიარეთ, ბევრი სისხლი დავღვარეთ, სიმწარე ვნახეთ. საქართველო პატარა ქვეყანაა ბევრი პრობლემით. ამის მიუხედავად, უკრაინას დიდი ჰუმანიტარული დახმარება გავუწიეთ და ამაში ყველას გავუსწარით. უკრაინას დიდ პატივს ვცემ. ამ ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უმწიფარი არაპროფესიონალია და პროვოკაციულად იქცევა. ასეთი საქციელი არ წაადგება უკრაინას. მახსენდება უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. ამ უწყებამ განაცხადა: გვეგონა, ისრაელი მეტად დაგვიდგებოდა მხარში, ვინაიდან ზელენსკის დედა ებრაელიაო. შეიძლება, დიპლომატები ამას ამბობდნენ?! საქართველოსა და მის ხელისუფლებას რამდენიმეჯერ დაესხნენ თავს პოდოლიაკი, საქართველოში დაბადებული არესტოვიჩი, არახამია. რა ჰგონიათ? რუსეთის დიქტატის მაგივრად საქართველოში რამდენიმე უმწიფარი ჩინოსნის დიქტატი უნდა დამყარდეს უკრაინიდან?! აქაც ჩნდება ნაციონალური მოძრაობის ნეგატიური როლი. ნაცმო დაკავშირებულია ამ ხალხთან.

***– უკრაინის წარმომადგენლები სხვა სახელმწიფოებსაც აკრიტიკებენ. უკრაინის ელჩმა გერმანიაში გერმანიის პრემიერ შოლცს „გულ-ღვიძლის ძეხვი“ უწოდა. იქნებ მოვახერხოთ, რომ უკრაინასთან არ გავაფუჭოთ ურთიერთობა?***

– პოდოლიაკი, არესტოვიჩი და არახამია არ ნიშნავს უკრაინას. ამ დაჯგუფებასა და უკრაინასთან ტოლობის ნიშანი არ იდება, ისევე, როგორც ვერ დავსვამთ ტოლობის ნიშანს ჰიტლერსა და გერმანიას შორის. უკრაინელ ხალხთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ არ ვაფუჭებთ ურთიერთობას. ეს ჯგუფია ამის ინიციატორი.

***– ხელისუფლებას შეცდომა არ დაუშვია?***

– საქართველოს ხელისუფლებას ამათთან არაფერი შეშლია. ამ ხალხმა თვითონ მიქარა. საქართველოს ტალახში სვრიან, ომისკენ მოუწოდებენ. დიდი ეჭვია, რომ ეს ჯგუფი დაეხმარებოდა ნაცმოძრაობას საქართველოში გადატრიალების მოწყობაში. ამის მცდელობა რამდენიმეჯერ იყო. საკითხავია, ვის ემსახურებიან ისინი უკრაინაში, რა კავშირი აქვთ რუსეთთან. საქართველოს თავი დავანებოთ. ამ არესტოვიჩმა „აზოვის“ ბატალიონის მებრძოლები გამოიყვანა წონასწორობიდან. თავგანწირული მებრძოლები იქამდე მიიყვანა, რომ დაემუქრნენ და თქვეს, რომ არესტოვიჩს თავ-ყბას დაუნგრევენ. ამ უმწიფარმა, არაკომპეტენტურმა ჯგუფმა ბევრ სახელმწიფოსთან დაძაბა ურთიერთობა. ეს ხალხი რატომღაც არ აკრიტიკებს იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთს ეხმარებიან.

# ალეკო ელისაშვილი: „დიდი სირცხვილი იქნება, რომ სააკაშვილი ციხეში ჯანმრთელობის გამო მოკვდეს“

– ძალიან დიდი სირცხვილი და კატასტროფა იქნება, რომ სააკაშვილი ციხეში ჯანმრთელობის პრობლემების გამო მოკვდეს. ეს იქნება სახელმწიფოსთვის თავის მოჭრა.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

ელისაშვილის თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ციხეში სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ შეექმნას.

– როდესაც ის შიმშილობდა, მისი მხარდამჭერების ერთ ნაწილზე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ერთ სულზე იყვნენ გარდაცვლილიყო, რათა რაღაც მუხტი გაჩენილიყო და რევოლუცია მოეწყოთ. მეორე მხრივ, მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი მოწინააღმდეგეების ნაწილს ერთი სურვილი ჰქონდა სააკაშვილის სახით პრობლემა „სტალინურად“ მოეშორებინა – არის ადამიანი, არის პრობლემა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა.

მე არც ერთ ჯგუფს არ მივეკუთვნები. მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სააკაშვილი ციხეში იყოს ჯანმრთელი. გული იმაზე მწყდება, რომ ვინც არ უნდა იყოს, ყველა უყურებს თავისი გადასახედიდან, პარტიული ჭუჭრუტანიდან. საქართველოს სახელმწიფო იმიჯზე არავინ ფიქრობს.

სააკაშვილი ციხეში ჯანმრთელობის პრობლემებით რომ ზის, ეს აზიანებს საქართველოს სახელმწიფოს იმიჯს. ამას ასე უნდა შევხედოთ, რომ ვართ სახელმწიფო, რომელიც კლავს ციხეში ყოფილ პრეზიდენტს. რად გვინდა ეს? არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც მიაჩნია, რომ ის პოლიტპატიმარია და ტყვედ არის აყვანილი. მიმაჩნია, რომ კონკრეტული დანაშაულები აქვს ჩადენილი, რაზეც პასუხი უნდა აგოს. როდესაც ხელისუფლება შეიცვლება, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა აგონ. ხელისუფლებაში ყოფნა არ არის ინდულგენცია, – განაცხადა ელისაშვილმა.



ელისაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ციხეში მყოფი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებელია არა მხოლოდ თავად პატიმარი, არამედ სახელმწიფოც.

– ვიღაცები ახლა ძალიან იფხანენ გულს იმით, რომ სააკაშვილი ციხეში ჰყავთ. ეს ახასიათებს იმ ხალხს, ვინც დიდად არ გამოირჩეოდა სააკაშვილის დროს მის წინააღმდეგ ბრძოლით – სადღაც ჩუმად იყვნენ და შეიძლება ტაშს უკრავდნენ. შურისძიებაზე მაღლა თუ არ დადექი, არც კარგი ადამიანი ხარ და შესაბამისად არც კარგი პოლიტიკოსი. ციხეშია, მეტი რაღა გინდა? – აღნიშნა ელისაშვილმა.

გარდა ამისა, პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა საქართველოს თავდაცვის სისტემაზე ისაუბრა.

ელისაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებული სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები მზადყოფნაში იყოს.

– რეალურად, დღეს ახლა რაზე უნდა ვლაპარაკობდეთ – სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები რამდენად მზადყოფნაშია ქვეყანაში? მეტრო მხოლოდ თბილისშია, სხვაგან არსად არის. დანარჩენი თავშესაფრები სად არის? საჰაერო განგაშის შემთხვევაში, გვაქვს სირენები? მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა აქვს ხელისუფლებას?

ახლა ამაზე უნდა ვსაუბრობდეთ. იარაღის ფლობა უნდა ვისწავლოთ, მისი შენახვის უფლება უნდა გვქონდეს, რადგან საფრთხის შემთხვევაში გვიანია იდაყვზე კბენა. ტერიტორიული თავდაცვა უნდა გვქონდეს ჩამოყალიბებული – ხომ ვხედავთ, რომ ეს სისტემა ეფექტურად მუშაობს? კაცობრიობის ისტორიამ დაადასტურა, რომ არ ესხმიან თავს ისეთ ქვეყანას, რომელიც ყველაზე მეტად არის მზად. ვის მოუვა ჭკუაში, რომ აშშ-ს, შვეიცარიას ან ფინეთს თავს დაესხას?

ფინეთი ჩვენხელა ქვეყანაა, სავალდებულო სამსახურიც აქვს, ტერიტორიული თავდაცვის მოხალისეობრივი ქვედანაყოფებიც აქვთ, ყველაზე მაგარი იარაღის წარმოება აქვთ და ყველაზე მაგარი სნაიპერები ჰყავთ.

ქვეყანა არის არანორმალურად მზად თავდაცვისთვის, ამიტომ რუსეთიც კი, რომელიც თავს ყველას ესხმის, ვერ გაბედავს, რომ თავს დაესხას ფინეთს.

თუ გინდა, რომ თავს არ დაგესხან, „პუტინი რა მაგარი კაცია, მაგას ვენაცვალე“ კი არ უნდა იძახო და მარგარიტა სიმონიანს კი არ უნდა მოაწონო თავი, ქვეყანა უნდა მოამზადო ომისთვის და, როცა მზად ხარ, შეგიძლია, მშვიდად იყო, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

# ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე უწყების – იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.



შეხვედრაზე პროკურორებმა, მოსამართლეებმა და გამომძიებლებმა საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით არსებული მდგომარეობა, მიღწევები და გამოწვევები განიხილეს.

სამუშაო შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. მონაწილეებმა იმსჯელეს სექსუალური ექსპლუატაციისა და შრომითი ექსპლუატაციის, მათ შორის, ბავშვთა მიერ მოწყალების თხოვნაში ჩაბმის შემთხვევების პრევენციის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პრაქტიკულ ასპექტებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომისა და ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხებს.

ასევე, სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე. აქცენტი გაკეთდა უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობისა და მულტისექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

შეხვედრის დასასრულს პროკურორებმა, მოსამართლეებმა და გამომძიებლებმა მზაობა გამოთქვეს მომავალში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი სამუშაო შეხვედრების გაგრძელების თაობაზე.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტს წარმოადგენს. უწყება ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით პირველ საფეხურზეა.

190 შეფასებულ ქვეყანას შორის საქართველო ერთ-ერთია, რომელიც ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს მუდმივ რეჟიმში აგრძელებს.

# სასამართლომ „რუსთავი 2“-ს ნოდარ მელაძისთვის — 80.000, ხოლო ნანუკა ჟორჟოლიანისთვის 82.000 ლარის გადახდა დააკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან ტელეწამყვან ნოდარ მელაძის გათავისუფლება უკანონოდ ცნო და აღნიშნულ კომპანიას მელაძისთვის კომპენსაციის სახით 80.000 ლარის გადახდა დააკისრა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იურისტმა თეო ზაქარაშვილმა განუცხადა.

როგორც ზაქარაშვილი განმარტავს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს.

– მოსარჩელე იყო ნოდარ მელაძე, რომლის ინტერესებსაც იცავდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და მისი იურისტი, თეო ზაქარაშვილი. რაც შეეხება მოპასუხეს, ეს იყო შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“. საკითხი ეხებოდა ნოდარ მელაძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებულ ბრძანებას. 2019 წლის 20 აგვისტოს, ნოდარ მელაძე გაათავისუფლეს სამსახურიდან, რაც გავასაჩივრეთ, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ, ბათილად ცნო და აღნიშნა, რომ ნოდარ მელაძის გათავისუფლება არღვევდა სამართლებრივ უფლებებს და იყო უკანონო. სასამართლომ „რუსთავი 2“-ს დააველა ნოდარ მელაძისთვის კომპენსაციის სახით 80.000 ლარის გადახდა, – განაცხადა ზაქარაშვილმა.

სასამართლომ „რუსთავი 2“-დან ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის გათავისუფლება ასევე უკანონოდ ცნო და ტელეკომპანიას კომპენსაციის სახით 62.000 ლარის გადახდა დააკისრა.




აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იურისტმა თეო ზაქარაშვილმა განუცხადა.

როგორც იურისტი განმარტავს, „რუსთავი 2“-ს ასევე დაეკისრა ჟორჟოლიანისათვის მიუღებელი შემოსავლის გადახდა 20.000 ლარის ოდენობით.

– მოსარჩელე გახლდათ ნანუკა ჟორჟოლიანი. რაც შეეხება მოპასუხეს, ეს იყო შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“. სასამართლომ გათავისუფლება ცნო უკანონოდ და 62.000 ლარის გადახდა დააკისრა და ასევე, მიუღებელი შემოსავლის გამო 20.000 ლარის გადახდა დაევალა, – განაცხადა ზაქარაშვილმა.

# ნიკა გვარამია: „დიდი პარადოქსია, ციხეში რომ არ ვზივარ“



თბილისის საქალაქო სასამართლოში „რუსთავი 2“-ის საქმეზე ნიკა გვარამია შემაჯამებელი სიტყვით წარდგა.

გადაწყვეტილება, შესაძლოა, ერთ კვირაში გახდეს ცნობილი. პროცესი 11 მაისისთვის გადაიდო.

როგორც ნიკა გვარამიამ აღნიშნა, არ სჯერა მოსამართლის დამოუკიდებლობის, რადგან, მისი შეფასებით, ამ ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს.

მან ასევე თქვა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში „გარეთ რომ არის, უფრო დიდი პარადოქსია“.

– როდესაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩემ მიმართ მიმდინარე პოლიტიკურ დევნას, ამ საქმეს პირველ რიგში ახსენებს 11-ჯერ თავის მოხსენებაში, ეს არის სირცხვილი, ქვეყნის, სასამართლო სისტემისა და პროკურატურის განადგურება საერთოდ. თქვენ არ გამოგიტანიათ ჯერ განაჩენი ამ საქმეზე, ვნახოთ, შეგეხებათ თუ არა თქვენც ეს მოხსენიებები. რომ გითხრათ ახლა, იმედი მაქვს, რა თქმა უნდა, არ მაქვს, იმიტომ, რომ უკანონობა ირაციონალური რამ არის და მისი პროგნოზირება შეუძლებელია. რაციონალურად, კანონის ჩარჩოებით რომ ვაყალიბებდე ჩემ მოლოდინებს, არანაირი ალტერნატივა არ აქვს გამამართლებელ განაჩენს, საერთოდ, ეს ბრალი ვერ იარსებებდა პირდაპირ რომ ვთქვათ.

მართალი გითხრათ, სულ ერთია უკვე ჩემთვის, რას იზამთ, მე თავს არ ვაღიარებ დამნაშავედ არც ერთ ეპიზოდში, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რა გადაწყვეტილება იქნება, მე რომ მკითხოთ, ამ ვითარებაში, ამ ხელისუფლების პირობებში, გარეთ რომ ვარ, ეს უფრო დიდი პარადოქსია, ვიდრე შიგნით რომ ვიყო. საერთოდ, მე მგონი, მალე დადგება ის დრო, როდესაც გარეთ ყოფნა პარადოქსული გახდება ამ ქვეყანაში ყველასი, ვინც სხვაგვარად აზროვნებს, – თქვა ნიკა გვარამიამ.

დასკვნითი სიტყვის ბოლოს ნიკა გვარამიამ მოსამართლეს უთხრა, მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელსაც საკუთარი სინდისი და კვალიფიკაცია უკარნახებს.

# ლაგუნასთან მკვლელობის საქმეზე ბრალი კიდევ 4 პირს წაუყენეს

საქართველოს პროკურატურამ თბილისში 2 აპრილს მომხდარი განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ბრალდება 4 პირს დაუსწრებლად წარუდგინა.

საგამოძიებო უწყების განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 აპრილს, ქ. თბილისში, კოსტავას პირველ შესახვევში მდებარე სს „საგზაო კომპანია თბილისის“ ოფისის ერთ-ერთ ოთახში, აღნიშნული კომპანიის დირექტორთან გ.ქ.-სთან და მის მეგობრებთან სასაუბროდ მივიდნენ მათი ნაცნობები, ასევე მათი პირადი დაცვის წევრები და თანმხლები პირები. შეხვედრის მიმდინარეობისას მხარეებს შორის შეკამათება ფიზიკურ დაპი-




რისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც კომპანიის დირექტორმა დაპირისპირებაში მყოფი პირების მიმართულებით იარაღიდან რამდენიმეჯერ გაისროლა, რის შედეგადაც ადგილზე მყოფმა სამმა პირმა სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიიღო.

აღნიშნული დაპირისპირების დროს პირადი დაცვის ერთ-ერთმა წევრმა კ.მ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ ესროლა კომპანიის დირექტორის მეგობარს კ.ქ.-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფმა პირებმა – ვ.მ.-მ, დ.მ.-მ, ო.რ.-მ და გ.გ.-მ იცოდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს.

ვინაიდან ბრალდებულებმა თავი აარიდეს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მათ ბრალდება დაუსწრებლად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამ დროისთვის ბრალდება 14 პირს წარედგინა, მათ შორის 10 პირია დაკავებული და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენისა და დაკავების მიზნით.

# კოკა კაციტაძე: „მიხეილ სააკაშვილის საქმეზე გამოძიებას საგამოძიებო სამსახურიც აგრძელებს“

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროს კოკა კაციტაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო არაადამიანური მოპყრობის საქმეზე გამოძიებას მისი უწყება დღესაც აგრძელებს.

როგორც კაციტაძემ „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში აღნიშნა, საქმეს იგივე გამომძიებელი იძიებს, ვინც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის პერიოდში იძიებდა.

– თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ტარდება საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებები. ასევე ამ საქმეზე დანიშნულია უამრავი ექსპერტიზა, რომლის პასუხები ჯერ არ მიგვიღია. ყოველივე ამის დასრულების და მათ შორის ექსპერტიზის პასუხების მიღების შემდეგ, შესაძლებელი გახდება ამ საქმეზე დასკვნების გაკეთება, – განაცხადა კაციტაძემ.

რაც შეეხება ზოგადად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობას ბოლო ორი თვის განმავლობაში, კაციტაძე ამბობს, რომ ამ პერიოდში უწყებამ გამოძიება სისხლის სამართლის 74 საქმეზე დაიწყო, მათგან 7-ზე კი პროკურატურა უკვე აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

– 4 პირი არის სამართალდამცავი – 3 შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 1 კი – პენიტენციარული დეპარტამენტის. მათ ვედავებით სამოხელეო დანაშაულის ჩადენას, ასევე ყოფით ნიადაგზე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებს. ასევე არის 3 ადამიანი, რომელთაც ბრალად ედებათ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

მან ასევე უპასუხა კითხვას იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მის გაუქმებამდე მუშაობდნენ.

კაციტაძის ინფორმაციით, ყველა იმ თანამშრომლის განცხადება დაკმაყოფილდა, რომელმაც განცხადება დაწერა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში საქმიანობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

– ეს ადამიანები იკავებენ იმავე პოზიციას, რომელიც ეკავათ. ისინი ჩემთვის უცხო არ ყოფილან. მე მათთან რამდენიმე წელია ვთანამშრომ-



ლობ, ვიცი მათი შესაძლებლობები, მათი პიროვნული და პროფესიული თვისებები. ამიტომ თითოეული მათგანი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მათთან ყოველდღიურ რეჟიმში ვაგრძელებ მუშაობას. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაახლოებით 70-მდე თანამშრომელი მუშაობს, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

# ზუგდიდში დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 1 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1988 წელს დაბადებული მ.ხ. ზუგდიდში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 15 აპრილს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 39-ე კილომეტრზე „ტოიოტას“ მარკის ავტომობილის მძღოლი განზრახ შეეჯახა პოლიციელის ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირებთან ერთად მიიმალა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო სამმართველოს უფროსმა დავით მიქიაშვილმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული მ.ხ. მძღოლის ერთ-ერთი თანმხლები პირია, რომელმაც მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა და სხვა პირებთან ერთად მიიმალა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, აღნიშნულ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კოდექსის 353-ე პრიმა და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# კარწახსა და სადახლოზე არადეკლარირებული სიგარეტის შემოტანის მცდელობები აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილოსა“ და „კარწახში“ კანონდარღვევის 3 ფაქტი აღიკვეთა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა, კინოლოგ-ოფიცრისა და თამბაქოს ნაწარმის ძებნაზე გაწვრთნილი სამსახურებრივი ძაღლის ჩართულობით, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ავტომანქანის დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში 11.900 ღერი, არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს.

მათივე ცნობით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს მ.კ.-ს ჯარიმის სახით 1.000 ლარი შეეფარდა, ხოლო არადეკლარირებული საქონელი და კუთვნილი ავტომანქანა ჩამოერთვა.

რაც შეეხება სამართალდამრღვევ საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეებს – ა.კ.-სა და გ.შ.-ს, მათ არადეკლარირებული საქონელი ჩამოერთვათ და 1.000 ლარის ოდენობით დაჯარიმდნენ.

# იაპონჩიკის მკვლელობისთვის ძებნა ნუგზარ პაპავაზე გამოცხადდა



11 წლის შემდეგ კრიმინალური „ავტორიტეტის“ ვიაჩესლავ ივანკოვის მკვლელობის ფიგურანტთა წრე ფართოვდება. 13 იანვარს მოსკოვის სასამართლომ დაპატიმრების სანქცია გასცა ნუგზარ პაპავაზე, რომელსაც 2009 წელს მომხდარი გახმაურებული მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორად მიიჩნევენ. ნუგზარ პაპავასთან ერთად ამავე საქმეზე ბრალი წარედგინა ვინმე ასტამურ ბუთბას. ორივე მათგანზე ძებნა გამოცხადდა.

ვიაჩესლავ ივანკოვს კრიმინალურ წრეებში „იაპონჩიკის“ მეტსახელით იცნობდნენ. ის ქურდულ სამყაროში დიდი გავლენით სარგებლობდა.

ვიაჩესლავ ივანკოვი მოკლეს 2009 წლის 28 ივლისს, საღამოს, როდესაც ის ტოვებდა რესტორანს ხოროშევსკოეს გზატკეცილზე. მას სნაიპერული შაშხანიდან ესროლეს. მკვლელობის ბრალდებით სასჯელს ორი პირი იხდის, თუმცა, როგორც ჩანს, წლების შემდეგ ამ საქმეში კიდევ ახალი ფიგურანტები იკვეთებიან. ერთ-ერთი ვერსიით, ქართველმა ნუგზარ პაპავამ ქილერები დანაშაულის იარაღით უზრუნველყო.

იაპონჩიკის მკვლელობის მთავარ მოტივად „კანონიერი ქურდის“ ილია სიმონიას (მახო) პირადი შურისძიება სახელდება. მათ შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, როდესაც ორივე იხდიდა სასჯელს ირკუტსკის კოლონიაში.

აღსანიშნავია, რომ ნუგზარ პაპავა ფიგურირებს 2019 წელს აფხაზეთში ბიზნესმენ ომარ მირცხულავას გატაცებისა და გამოსასყიდის მოთხოვნის საქმეში. სოხუმის ე.წ. სამართალდამცველებმა მაშინ პაპავა სხვა ორ პირთან ერთად დააკავეს კიდეც, თუმცა მოულოდნელად მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

მოგვიანებით, ე.წ. აფხაზეთის პროკურატურამ ნუგზარ პაპავას ბრალი კვლავ წარუდგინა. ეს მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან სოხუმში ჩავიდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც ბიზნესმენის გატაცებაში მისი მონაწილეობა დაადასტურა.

## რუსებმა რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე კონტროლი დაკარგეს

რუსეთის ჯარებმა უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლების შედეგად მიკოლაივისა და ხერსონის ოლქების საზღვარზე რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე კონტროლი დაკარგეს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული.

მათივე ცნობით, მოწინააღმდეგე არ წყვეტს შეტევით ოპერაციებს აღმოსავლეთის ოპერაციულ ზონაში იმ მიზნით, რომ დაამყაროს სრული კონტროლი დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერიტორიაზე და შეინარჩუნოს სახმელეთო დერეფანი დროებით ოკუპირებულ ყირიმთან.

– 4 მაისს უკრაინელმა დამცველებმა დონბასში მტრის 11 შეტევა მოიგერიეს, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 5 ტანკი, 7 ჯავშანტექნიკა და 5 მანქანა. საჰაერო ძალებისა და სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის დანაყოფებმა ცხრა საჰაერო სამიზნე გაანადგურეს: 4 უპილოტო



საფრენი აპარატი, სამი მტრის საკრუიზო რაკეტა და ორი თვითმფრინავი, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, სლობოჟანსკის მიმართულებით მტერი აგრძელებს ქალაქ ხარკოვის დაბომბვასა და თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების პოზიციების დაზვერვას. ამასთან, ქალაქ იზიუმის ჩრდილოეთ რაიონში არტილერიიდან და ნაღმმტყორცნებიდან დაბომბვა გრძელდება.

– მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები ცდილობენ, განახორციელონ შეტევითი ოპერაციები ლიმანსკის, სევეროდონეცკისა და პოპასნაიის მიმართულებებით, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევენ. ავდეევკასა და კურახოვის მიმართულებით მტერი აგრძელებს უკრაინის დამცველების პოზიციების დაბომბვას, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

გენშტაბის ცნობით, ქალაქ მარიუპოლში რუსი ოკუპანტების ძირითადი ძალისხმევა მიმართულია „აზოვსტალის“ რაიონში უკრაინული ქვედანაყოფების დაბლოკვისა და განადგურებისკენ.

– ავიაციის მხარდაჭერით მტერმა განაახლა შეტევა ქარხნის ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვების მიზნით, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## დიდი ბრიტანეთი უკრაინელებისთვის 45 მილიონ გირვანქას გამოყოფს

გაერთიანებული სამეფო უკრაინასა და მის საზღვრებთან მყოფი დაუცველი უკრაინელებისთვის 45 მილიონ გირვანქა სტერლინგს (57 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფს.

– დახმარების პაკეტი გადაეცემათ გაეროს სააგენტოებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ძალადობისა და ზიანის მიმართ ყველაზე დაუცველთა დასახმარებლად, – აღნიშნულია გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ ლიზ ტრასის განცხადებაში.

მისი განმარტებით, დახმარება განკუთვნილია უკრაინაში ყველაზე დაუცველებისთვის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისთვის, რომლებიც სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის გაზრდილი რისკის წინაშე დგანან.

აღნიშნული 45 მილიონიდან 15 მილიონი გაეროს უკრაინის ჰუმანიტარულ ფონდს გადაეცემა, 15 მილიონი – გაეროს ბავშვთა სააგენტოს, იუნისეფს, 10 მილიონით დააფინანსებს ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს სასაზღვრო ქვეყნებში, რათა დაიცვან იქ შეფარებული ქალები და ბავშვები, 5 მილიონი კი გადაეცემა უკრაინის წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციას.

ასევე დამატებით 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიყოფა პოლონეთში მყოფი უკრაინელი ლტოლვილების ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

## ზელენსკი: „მარიუპოლიდან 344 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა“



მარიუპოლიდან ევაკუაციის ოპერაციის მეორე ეტაპი დასრულდა. ქალაქიდან და მისი შემოგარენიდან 344 ადამიანი გაიყვანეს.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, ევაკუირებული მოქალაქეები ზაპოროჟიეში ჩავლენ და მათზე სახელმწიფო განსაკუთრებით იზრუნებს.

– ამდენი ადამიანი გაემგზავრა ზაპოროჟიესკენ. ჩვენი გუნდი ემზადება მათთან შესახვედრად. ყველა მათგანი მიიღებს განსაკუთრებულ მზრუნველობას სახელმწიფოსგან, – აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, მარიუპოლში დარჩენილების ევაკუაციისთვის ცეცხლის შეწყვეტაა საჭირო.

– ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და ვიმედოვნებთ, რომ გავაგრძელებთ ხალხის გადარჩენას აზოვსტალიდან, მარიუპოლიდან. ჯერ კიდევ არიან მშვიდობიანი მოქალაქეები, ქალები, ბავშვები. ჩვენ გვჭირდება ცეცხლის შეწყვეტა მათ გადასარჩენად, – აღნიშნა ზელენსკიმ.

## იაპონიის პრემიერი: „იაპონია-რუსეთის ურთიერთობების რღვევაზე რუსული მხარეა პასუხისმგებელი“

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ფუმიო კიშიდა აცხადებს, რომ რუსეთის მიერ იაპონიის ოფიციალური პირების წინააღმდეგ დაწესებული სანქციები „სრულიად მიუღებელია“.

– რუსეთის შეჭრა უკრაინაში საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა. უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევა და ომის დანაშაული, – განაცხადა კიშიდამ.

მისი თქმით, იაპონია-რუსეთის ურთიერთობების რღვევაზე მთლიანად რუსული მხარეა პასუხისმგებელი:

– რუსულმა მხარემ სამხედრო საშუალებებს მიმართა და ეს ვითარება გამოიწვია. იაპონია-რუსეთის ურთიერთობების რღვევაზე მთლიანად რუსული მხარეა პასუხისმგებელი.

შეგახსენებთ, რუსეთმა იაპონიის 63 მოქალაქეს, მათ შორის ფუმიო კიშიდას, ქვეყანაში შესვლა განუსაზღვრელი ვადით აუკრძალა.



## ფინეთი რუსეთს საჰაერო სივრცის დარღვევაში ადანაშაულებს

რუსეთის არმიის ვერტმფრენმა ფინეთის საჰაერო სივრცე დაარღვია.

ამის შესახებ ფინეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა.

– საფრენი აპარატის ტიპი არის მი-17 ვერტმფრენი, სავარაუდო დარღვევის სიღრმე კი დაახლოებით ოთხიდან ხუთ კილომეტრამდეა, – განუცხადა სააგენტო „ფრანს-პრესს“ სამინისტროს პრესსპიკერმა.



მათივე თქმით, შემთხვევა ოთხშაბათს, ადგილობრივი დროით 10:40 საათზე მოხდა.

რუსეთმა ფინეთის საჰაერო სივრცე წელს მეორედ დაარღვია. რუსული არმიის კუთვნილი სამოქალაქო სატრანსპორტო თვითმფრინავი 8 აპრილს ფინეთის საჰაერო სივრცეში მცირე ხნით შევიდა.

შეგახსენებთ, ფინეთი და შვედეთი ნატოში შესაძლო გაწევრიანების საკითხს განიხილავენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დედის ელვისებურმა რეაქციამ ბავშვი დაღუპვას გადაარჩინა

ვიეტნამში ელვისებურმა რეაქციამ დედას საშუალება მისცა, უკანასკნელ წამს გადაერჩინა ბავშვი სატვირთო მანქანის ბორბლებქვეშ დაღუპვისგან.

ქვეყნის პროვინცია ნამდინში თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მგზავრობდნენ მოტოციკლის უკანა სავარძელზე მსხდომი დედა და მისი შვილი. მოულოდნელად მოტოციკლმა გვერდი გაჰკრა იმავე მიმართულებით მოძრავ ავტომობილს.



მოტოციკლის მგზავრები გზაზე გადმოცვივდნენ, რა დროსაც ბავშვი საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი სატვირთო ავტომობილის გზაზე აღმოჩნდა. ქალმა ელვისუსწრაფესად სტაცა ხელი ბავშვს, თავისკენ მიიზიდა და ამით ბორბლებქვეშ დაღუპვისგან გადაარჩინა.

ამ ინციდენტის ყველა მინაწილე უმნიშვნელო დაზიანებებით გადარჩა, ხოლო ვიდეოჩანაწერმა ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და ხუთ მილიონზე მეტი ნახვა დაუგროვდა.

## პენსიონერს თავს კენგურუ დაესხა

ავსტრალიაში 68 წლის პენსიონერი ქალი საავადმყოფოში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მას თავს მოზრდილი კენგურუ დაესხა.

აღნიშნული ინციდენტი მოხდა დილით ადრე გოლფის მოედანზე, რომელიც კვინსლენდის შტატის ქალაქ გოლდ-კოსტში მდებარეობს. ხანშიშესული ქალბატონი მოედანზე მიდიოდა, როდესაც მას დიდი კენგურუ მიუახლოვდა. აგრესიული ცხოველი ქალს თავს დაესხა, ძლიერი დარტყმით ძირს დააგდო, დაცემულს თათები ურტყა და შემდეგ გაიქცა.

პენსიონერი თავის არეში, ხელებსა და ფეხებზე მიღებული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები იძულებული გახდნენ, მისთვის მრავალი ნაკერი დაედოთ. ქალმა განსაკუთრებული დაზიანება სახის არეში მიიღო, ვინაიდან კენგურუმ თავისი მძლავრი უკანა ფეხებით დარტყმა სწორედ სახეზე მიაყენა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კინოს სახლში სალომე ჯაშის აკრძალული ფილმი პარტიზანულად აჩვენეს

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

კულტურულ სივრცეებს, „მაკრატლისა“ თუ ვიწროპოლიტიკური და კლანური ინტერესების გატარების ნაცვლად, დემოკრატიზაცია და კინოს აუდიტორიისათვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა სჭირდება. კულტურული სივრცეების „მოთვინიერების“ თითოეული მცდელობა პოლიტიკურად ანგაჟირებული აქტორების მხრიდან მკვდარი ქმედებაა, რომელსაც ყველა ფორმით უნდა დავუპირისპირდეთ, რათა ჩანასახშივე ჩაიხშოს, რომ უარესი რეალობის წინაშე არ მოგვიწიოს ყოფნა.

ჩვენი ქმედება, ერთგვარი პოლიტიკური აქტი, რომელიც კინოს სახლში დაბლოკილი ფილმის ჩვენებას გულისხმობს და რაც დამოუკიდებლად, მხოლოდ ჩვენ მიერ იქნა ორგანიზებული, გარდა იმისა, რომ გამოხატვის ფორმითვე უპირისპირდება ცენზურასა და მის ყოველგვარ გამოვლინებას, ერთგვარი გზავნილიცაა ავტორიტარული მმართველობისკენ მიდრეკილი სუბიექტებისადმი: როგორც არ უნდა ცადოთ და შეზღუდოთ გამოხატვისა თუ ნებისმიერი სხვა სახის თავისუფლება, ჩვენ მაინც ვიპოვით გამოსავალს იმის გამოსახატავად და სათქმელად, რასაც ვფიქრობთ.

კინო მაყურებელს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სუპერლიგის მეორე ნახევარფინალისტი ცნობილია



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი სუპერლიგის ნახევარფინალში გავიდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის მე-4 მატჩში ტიტები დამაჯერებელი სხვაობით – 96:67 დაამარცხა და ფლეი ოფის მომდევნო რაუნდის საგზური მოიპოვა.

მაყურებელმა 2 რადიკალურად განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველში ტიტები ლიდერობდა, ბესო ლეჟავას გუნდი სულ წინ იყო და ერთ ეპიზოდში 10 ქულითაც დაწინაურდა – 40:30. ეს ანგარიში მეორე პერიოდის მე-8 წუთის შუაწელში დაფიქსირდა, რის შემდეგაც 7 წუთის მანძილზე ტიტების კალათბურთელებმა ბურთი ვერ ჩააგდეს. სამაგიეროდ, ამ მონაკვეთში თსუ-მ 26 ქულა მიითვალა და არნახული გაქცევის შემდეგ 10-ქულიანი ჩამორჩენა 16-ქულიან ლიდერობად აქცია, რითაც მეტოქეს საბოლოო განაჩენი გამოუტანა.

ძნელად მოიძებნება გუნდი, 0:26 წაგებული 7-წუთიანი მონაკვეთის შემდეგ რომ თამაშის შემოტრიალება მოახერხოს. ტიტებიც საბოლოოდ გატყდა და დარჩენილ 15 წუთში არათუ მოსაგებად გაიწია, კიდევ უფრო ჩამორჩა. უნივერსიტეტელებმა სწრაფი, აგრესიული და გააზრებული კალათბურთი ითამაშეს, რითაც გამარჯვება დაიმსახურეს.

უნივერსიტეტის გუნდში საუკეთესო შედეგი ნიკა დარბაიძემ დააფიქსირა – 15 ქულა, 10 მოხსნა და 4 პასი. ლოველ ქაბილმა 17 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. ჯუვარის ჰეისის ანგარიშზე კი 12 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. ტიტებში 16 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო იყო ჯავიონ ოგუნიემი. 14 ქულა – კრის პარკერმა, ხოლო 13 აკაკი ლომოურმა მიითვალა.

ტიტებისთვის სეზონი დასრულდა, თსუ კი ნახევარფინალურ სერიას ოლიმპთან გააჩაღებს.

## შავი ლომი პორტუგალიაში ჩავიდა

პირველი ქართული სარაგბო ფრენჩაიზი შავი ლომი პორტუგალიაში ჩავიდა, სადაც 7 მაისს ლისაბონში ლუზიტანუშს რაგბი ევროპის სუპერთასის ფინალში შეერკინება.



ჩვენი გუნდის მსგავსად, პორტუგალიური ფრენჩაიზიც ნაკრების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ლუზიტანუშმა სუპერ თასი დაუმარცხებლად განვლო და ჯგუფურ ეტაპზე 6-ვე მატჩი მოიგო. შედეგად, პორტუგალიელებს ფინალის მასპინძლობა ერგოთ.

პორტუგალიაში გამგზავრებამდე შავმა ლომმა სამდღიანი შეკრება გაიარა.

**ლევან მაისაშვილი:**

– დანაკლისი არ გვაქვს. არის მიკროტრავმები და მატჩის წინ გადაწყდება, ვინ შეძლებს თამაშს. ფინალს ფსიქოლოგიურად განსხვავებული დატვირთვა აქვს და მზადებაც შესაბამისია. გამარჯვებას ის გუნდი მოიპოვებს, რომელიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს და ეს ბიჭებს კარგად აქვთ გააზრებული. მოწინააღმდეგე სწრაფი გუნდია. ისინი ეცდებიან, თამაში ააჩქარონ და თავიანთი შანსი გამოიყენონ. ამისთვის ვემზადებით და, დიდი იმედი მაქვს, შევძლებთ, მათ ჩვენი თამაში დავუპირისპიროთ.

**მერაბ შარიქაძე:**

– მოწინააღმდეგემ დასავლეთ კონფერენციაში ყველა თამაში მოიგო. თითქმის პორტუგალიის ნაკრებია, სწრაფ და ხარისხიან რაგბის თამაშობს. ვვარჯიშობთ, ჩვენი მხრივ, ვეცდებით, ასევე სწრაფი და ხარისხიანი რაგბი დავუპირისპიროთ და თასი თბილისში წამოვიღოთ. ეს ტურნირი პირველად ტარდება და გვსურს, რომ მისი გამარჯვებულები გავხდეთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გიორგი ბერიძე: „ქინქლაძისა და რონალდოს თამაში სიამოვნებას მანიჭებდა“

**საქართველოს ნაკრების შემტევი გიორგი ბერიძე უნგრული უიპეშტის ფეხბურთელია. კლუბის პრესსამსახურმა ჩვენებურთან ინტერვიუ ჩაწერა, სადაც „ბორჯომა“ საინტერესო თემებზე საუბრობს.**

***– როგორ მოხვდით ფეხბურთში?***

– წარმოშობით ბორჯომელი ვარ. სკოლაში თუ სკოლის შემდეგ, როცა თავისუფალი დრო გვქონდა, მეგობრებთან ერთად სულ ვთამაშობდით. რეგულარულად ვარჯიში 9 წლისამ დავიწყე. მას შემდეგ ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში ყოველდღიური მოვლენა გახდა.

***– რთული იყო პერიფერიიდან თბილისში გადასვლა?***

– ყოველ შემთხვევაში, არ იყო საშიში, რადგან ოჯახი თბილისში ჩემთან ერთად გადმოვიდა. 10 წლისას დედაქალაქში მარტო ყოფნა არ მინდოდა.

***– ამას კიდევ ერთი დიდი თავგადასავალი მოჰყვა – ბელგიაში.***

– რატომღაც ჩემს კარიერაში ეს ცვლილება არც ისე რთული იყო, რადგან გენტში მარტო არ მივსულვარ. იქ ჩემი მეგობარი ჯიმი ტაბიძეც იყო, რომელთანაც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში ვითამაშე. ეს იყო დიდი და საჭირო გამოცდილება, რადგან საქართველოში განვითარება და დონის აწევა ადვილი არ არის. აუცილებლად გჭირდება ახალი გარემო, სადაც შეგიძლია, უფრო ბევრი ისწავლო.

***– ვინ იყო მისაბაძი მაგალითი?***

– ქინქლაძე! ინგლისის პრემიერლიგაში საოცარი 2 სეზონი ჰქონდა. ძალიან მსიამოვნებდა მისი თამაშის ცქერა. ის ჩემი საყვარელი ქართველი ფეხბურთელია.

***– ქართველების გარდა, ვისი ფეხბურთის თამაშის ყურება გსიამოვნებდათ?***

– ასეთი ფეხბურთელი ბრაზილიელი რონალდოა – ნამდვილი ფენომენი! მიყვარდა მისი თამაშის ყურებაც, ის იყო ძლიერი, ტექნიკური. ყოველთვის ვცდილობდი მიმებაძა, მისი რეიდები მომწონდა. დღევანდელი ფეხბურთელებიდან განსაკუთრებით აზარსა და ვინისიუსს ვაფასებ, რადგან მეც ამ პოზიციაზე ვთამაშობ. მათი ყურება ჩემთვის გაკვეთილია.

***– გენტის შემდეგ იყო სლოვაკური ტრენჩინი და ბოლოს – უიპეშტი.***

– უნგრეთში 2-მა წელმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. არა მხოლოდ გუნდი, არამედ, თავად ლიგაც შეიცვალა. მეტოქეები ბევრად ძლიერები გახდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენი გუნდიც უძლიერესია მათ შორის, რაც კი ოდესმე მახსენდება. ვგრძნობ, რომ ახლა თავს ერთად ძალიან კარგად ვგრძნობთ.



***– უიპეშტში თანამემამულე ბუდუ ზივზივაძეც გვერდით თამაშობს. როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

– ბუდუ ჩემთვის ძმასავითაა! კარგია მასთან ერთად მოედანზე ყოფნა, რადგან გოლების მანქანასავითაა, თან ახლა შესანიშნავ ფორმაშია, თითქმის ყოველთვის ისე იხსნება, რომ გაიძულებს საგოლე პასი გააკეთო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბუდუ კარგად მოძრაობს, რაც ჩვენ სივრცეს გვითავისუფლებს.

***– ზივზივაძის გუნდში მოსვლით უიპეშტის შემტევი სამეული საშიში გახდა.***

– ჩვენი შემტევი ტრიო ძალიან პოპულარულია. ამ ტრიოს წევრია იოან კრუაზეც. ისიც შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალიან ეხმარება გუნდს. მეტიც – ვფიქრობ, ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია. თუ მეტოქის გუნდში მხოლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, ჩვენთან ეს უფრო რთული შემთხვევაა, რადგან სამივეს შეგვიძლია გამწვავება და მცველებმა არასოდეს იციან, რომელი შეიძლება იყოს უფრო საშიში.

***– ბოლო დროს უიპეშტმა ზედიზედ მოიგო თამაშები, ახლა კი ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფება.***

– იანვარში გავარდნა გვემუქრებოდა, შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ ზედიზედ მოვიგეთ თამაშები და ევროთასებზე გასვლისთვის ვიბრძოდით. გასულ ზაფხულს უკვე ვითამაშეთ ევროტურნირზე და ძალიან განვიცადე, რომ ტრავმის გამო ბაზელთან მატჩები გამოვტოვე. არადა, ასეთ მატჩებს მთელი კარიერის განმავლობაში ელოდები, გულშემატკივრებისთვისაც და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. ამიტომ უიპეშტში ყოფნისას ჩემი ყველაზე ცუდი მოგონება სწორედ ამ დროს უკავშირდება.

***– კიდევ რა გახსენდებათ ცუდად?***

– სათასო ნახევარფინალის წაგება პაკშთან, რადგან ძალიან გვინდოდა ფინალში თამაში.

***– საუკეთესო გოლი უიპეშტში რომელი გახსენდებათ?***

– ასეთი ორია: ერთი მოედნის ცენტრიდან იმავე პაკშთან რომ გავიტანე; მეორე – შარშანდელი გოლი კიშვარდასთან კარში.

***– პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვით?***

– უკვე 2 შვილის მამა ვარ. ფეხბურთისგან თავისუფალ დროს მათ ვუთმობ. გამიმართლა, რომ კარგი მეუღლე მყავს, რადგან ძალიან მეხმარება და ჩემთვის ბევრს აკეთებს, რათა ფეხბურთზე ვიყო მობილიზებული.

***– ოჯახის დანარჩენი წევრები თუ გსტუმრობენ?***

– დიახ, ბოლოს მამაჩემი იყო ჩამოსული. მასთან ყოველთვის განვიხილავ, გასულ მატჩებს, მირჩევს ხოლმე, რა უნდა გავაუმჯობესო ან რა გამომდის კარგად. როგორი დასვენება მიყვარს? აქტიური! ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია.

# ლოკომოტივი უქულოდ რჩება



**ლოკომოტივი-სამგურალი 0:2**
**თბილისი. მიხეილ მესხი 2**
**0:1 კალანდარიშვილი (39), 0:2 რუხაძე (55პ)**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჯაფარიძე (აწყურელი 85), გიორგაძე, ხარაიშვილი, ქველაძე, ანდრონიკაშვილი (ხუციშვილი 67), შეყილაძე (მუკბანიანი 59), დარცმელია, ძებნიაური (კეკელიძე 59), ჭიაბრიშვილი (ომარაშვილი 67), იაკობიძე

**სამგურალი:** შოვნაძე, ი.ახვლედიანი, მაისაშვილი, ლ.ქურდაძე, კალანდარიშვილი, დოლიძე (რუხაძე 32), მ.ბაშელეიშვილი (შ.ბურჯანაძე 73), გილმორი (დევდარიანი 73), ჯერალდო (ვერულიძე 55), ჩიხლაძე, ს.კუხიანიძე (გავაშელიშვილი 55)

ლოკომოტივმა პირველი წრე ისე დაასრულა, რომ ქულა არ მოუპოვებია. გუნდი იმავეს აგრძელებს მე-2 წრეშიც და უკვე 11 მატჩიდან 11 წაგება აქვს. გუნდი ჯერაც პირველი ქულის მოლოდინშია. საკითხავია, შეძლებს თუ არა საერთოდ ქულის მოპოვებას.

სამგურალი კი ბოლო პერიოდში კარგ ფორმაშია, 4 ტურია, არ დამარცხებულა. ლოკომოტივთან სტუმრად გამართულ მატჩში გიორგი მიქაძის გაწვრთნილმა წყალტუბოელებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. ჯერ ნიკა კალანდარიშვილმა თავურით, შემდეგ – ირაკლი რუხაძემ პენალტით.

კალანდარიშვილისთვის ეს პირველი გოლია მიმდინარე სეზონში, რუხაძეს კი 4 გოლი მოუგროვდა და აქედან 3 – ლოკომოტივის კარში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 11 | 7 | 3 | 1 | 25-7 | 24 |
| 2.დილა | 11 | 7 | 1 | 3 | 15-8 | 22 |
| 3.დინამო (თბ) | 11 | 5 | 4 | 2 | 14-8 | 19 |
| 4.საბურთალო | 11 | 5 | 3 | 3 | 18-13 | 18 |
| 5.სამგურალი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-8 | 17 |
| 6.თელავი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-8 | 16 |
| 7.გაგრა | 11 | 4 | 2 | 5 | 12-17 | 14 |
| 8.ტორპედო | 11 | 3 | 2 | 6 | 8-19 | 11 |
| 9.სიონი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-19 | 10 |
| 10.ლოკომოტივი | 11 | 0 | 0 | 11 | 6-29 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# როდრიგოლი და ტრილერი მადრიდში, რეალი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია

**რეალი-მანჩესტერ სიტი 3:1 (დდ)**
**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**
**0:1 მარეზი (73), 1:1, 2:1 როდრიგო (89, 90), 3:1 ბენზემა (95პ)**

სანტიაგო ბერნაბეუზე გამართულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რატომ უყვართ ფეხბურთი.

ამ სპექტაკლის პირველი აქტი სიტიმ 4:3 მოიგო. არც მე-2 აქტს მოჰკლებია წარმოუდგენელი სიუჟეტი. მართალია, მადრიდული მატჩი ისეთი ფეერიული არ გამოდგა, როგორც პირველი, მაგრამ ნამდვილი ტრილერი დატრიალდა, რომლის მთავარი შემოქმედი კარლო ანჩელოტი და როდრიგო გახდნენ.

მოედნის თითქმის ყველა მონაკვეთში დიდი ბრძოლა იყო. სიტი უკეთ გამოიყურებოდა და თითქოს ფინალში გასვლაც არ უნდა გასჭირვებოდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც რიად მარეზმა ანგარიში გახსნა და 2 მატჩის ჯამში სიტი 5:3 დაწინაურდა. დარჩენილ დროში რა შეეძლო რეალს, რომელსაც მანამდე კარში არ დაურტყამს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ანჩელოტის მოედანზე „ჯოკერი“ როდრიგო ჰყავდა.

თუმცა ეს რეალია, უდიდესი გამოცდილებით. ამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა – 2 წუთში 2 გოლი: როდრიგომ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ბოლო წუთზე „სანტიაგო ბერნაბეუ“ დაინგრა – 5:5 და მატჩი დამატებით დროში გადავიდა.

გადამწყვეტი, ფინალში გამსვლელი გოლი კი ოვერტაიმის მე-5 წუთზე გავიდა – ქარიმ ბენზემა საჯარიმოში წააქციეს და 11 მეტრიდან თავად ფრანგმა შეაგდო. 3:1 და ეს ციფრები ტაბლოზე ბოლომდე დარჩა, რაც ნიშნავს, რომ რეალი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია, სადაც ლივერპულს შეხვდება.

ეს გუნდები ამ პრესტიჟული ტურნირის ფინალში აქამდე ორჯერ შეხვედრიან: 1981 წელს პარიზში ლივერპულმა 1:0 მოიგო, ხოლო 2018 წელს კიევში მადრიდელებმა იმძლავრეს – 3:1.

ახლა ფინალი ისევ პარიზშია – 28 მაისს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – როდრიგო

ბრაზილიელი ფეხბურთელი ინგლისური კლუბების ბოროტ გენიად იქცა. როდრიგომ ჯერ ჩელსის გაუტანა მნიშვნელოვანი გოლი, ხოლო სიტისთან რაც გააკეთა, საოცრება იყო.

აქვე დავამატებთ, რომ კარლო ანჩელოტიმ ბოლო კვირაში 2 რეკორდი დაამყარა: ჯერ პირველი მწვრთნელი გახდა, რომელმაც 5 ტოპლიგა მოიგო (პრემიერლიგა, სერია ა, ლიგა 1, ლა ლიგა, ბუნდესლიგა), ახლა კი პირველი მწვრთნელია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში 5-ჯერ გავიდა. ანჩელოტიმ მარჩელო ლიპის, სერ ალექს ფერგიუსონისა და იურგენ კლოპის შედეგები გააუმჯობესა.

თავისი „რეკორდი“ პეპ გვარდიოლამაც დაამყარა, უფრო სწორად, გაიმეორა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გვარდიოლაზე მეტჯერ სხვა მწვრთნელი არ დამარცხებულა. პეპს ნახევარფინალში უკვე 6 მარცხი აქვს და ამით ჟოზე მოურინიოს გაუთანაბრდა.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელღება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 2. რაიმე ზედაპირის ერთეულზე მოქმედი ძალა; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. უდაბნოში მზარდი მცენარე; 5. უნგრეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 9. ფილიპინების დედაქალაქი; 12. ბგერათა გარკვეული თანმიმდევრობა, რომელიც ქმნის მუსიკალურ მთლიანობას; 14. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. ქართველი უფოლოგი; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. მწვანეთა და ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. კომპიუტერული ტექნიკის, მობილური ტელეფონების მწარმოებელი ჩინური კომპანია; 10. ბრიტანეთის ნაწილი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 16. მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო ზიარებისთვის; 19. ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ქართველი გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოპი; 2. აია; 3. ბარისტერი; 4. გაგრა; 5. მეჯლისი; 8. ტატა; 9. ჩაკრულო; 10. ინჟინერი; 12. მიშელი; 13. ფეოლა; 15. მღილი.

**თარაზულად:** 1. კოსტავა; 6. ჩანტლაძე; 7. პეტრა; 10. იდიში; 11. სტელა; 13. ფორდი; 14. ტემპი; 16. ერბო; 17. ითხვისი; 18. შატილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხატწერა; 2. თქორი; 3. სიბარიტი; 4. გოდერძი; 5. კალვადოსი; 9. გლაქსო; 12. თეოლოგი; 15. ხადა; 17. სიონი; 18. ჯანი.

**თარაზულად:** 6. მარაქა; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. ბრაგა; 11. ჰაუპტვახტი; 13. ბარახასი; 16. ფელბსი; 19. ავტობანი; 20. ბიურგერი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.0398 | ევრო — 3.2198 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8149 | 100 რუსული რუბლი — 4.6551 |

## ამინდის პროგნოზი 6 მაისისათვის




## გვარდიოლა: „მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ“



მანჩესტერ სიტი მადრიდის რეალთან 1:3 დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. გვარდიოლას გუნდი 89-ე წუთზე მატჩს იგებდა, მაგრამ რეალმა სასწაული მოახდინა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, სადაც მადრიდელებმა კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხეს.

გვარდიოლამ განაცხადა, რომ სიტის, უბრალოდ, ძალიან არ გაუმართლა:

– ძალიან დამწუხრებული ვართ ასეთი შედეგით, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

## ანჩელოტი: „ძალიან ბედნიერი ვარ“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სიტის დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია, რადგან მისმა გუნდმა შეძლო ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და მომენტით ტკბება:

– ბოლომდე ვიბრძოლეთ და ყველა ფეხბურთელმა გააკეთა ის, რასაც მათგან მოვითხოვდი. ასეთი საღამოების დავიწყება შეუძლებელია და სწორედ ამით არის მშვენიერი ფეხბურთი. ძალიან ბედნიერი ვარ.

## მოჰამედ სალაჰმა რეალზე ისაუბრა



მოჰამედ სალაჰი ლივერპულის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას გამოეხმაურა და თქვა, რომ სურს რეალის წინააღმდეგ თამაში და რევანშის აღება 2018 წლის ფინალისთვის, როდესაც რეალმა ლივერპული ლორის კარიუსის შეცდომების წყალობით 3:1 დაამარცხა. სალაჰმა თავის ინსტაგრამის გვერდზე დაწერა, რომ ანგარიშსწორების დრო მოვიდა. ფინალი 28 მაისს გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## გოჩა აბულაძე უკრაინელების დასახმარებლად იმღერებს



ოპერის მომღერალი გოჩა აბულაძე უკრაინელების დასახმარებლად კარნეგი ჰოლში იმღერებს.

18 მაისს საქველმოქმედო კონცერტში უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ქართველ ბარიტონთან ერთად მსმენელის წინაშე უკრაინელი პიანისტი ირენა პორტენკოც წარდგება. ისინი მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს ააჟღერებენ.

კარნეგი ჰოლში დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტზე შეგროვილი თანხა უკრაინელების დასახმარებლად გადაირიცხება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ქალი კაცს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, ჩვენი წუხანდელი ღამე გახსოვს, ტყეში, რომ გავატარეთ?

– კი, როგორ არა.

– მე მის გახსენებაზე, ახლაც ტანში ჟრუანტელი მივლის, თითქოსდა ჭიანჭველები დარბოდნენ!

– მეც, უკვე სამი დავიჭირე.

•••

ქალი სახანძროში რეკავს და ეუბნება:

– ალო, მიშველეთ!!! ჩემ ბინაში ხანძარია...

– ოჰო, ძვირფასო სიდედრო, ეს შენ ხარ? აბა ჯერ ისევ იმ აზრზე ხარ, რომ ჩემ დანახვას სიკვდილი გირჩევნია?

•••

ტაქსიში შიშველი გოგონა ჩაჯდა. მძღოლმა თავიდან ფეხებამდე გულდასმით შეათვალიერა. გოგონა ეუბნება:

– რა, შიშველი ქალი არასოდეს გინახავს?!

– როგორ არა, მაგრამ მე ის მაინტერესებს, ფულს საიდან ამოიღებ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნიკოლოზ წულუკიძეს პატრიარქმა სამძიმრის წერილი მისწერა



თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძეს, რომლის პატარა შვილიც ტრაგიკულად დაიღუპა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამძიმრის წერილი მისწერა:

– ნიკოლოზ წულუკიძესა და თეკლა კოსტავას, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს!

პატარა კიტა-კონსტანტინეს გარდაცვალებას ყველა გლოვობს და გულითადი თანამონაწილეა თქვენი მწუხარებისა.

ჩვენგანაც მიიღეთ სამძიმარი და თანაგრძნობა იმ დიდი ტკივილის გამო, რასაც ბავშვთან განშორებით განიცდით; მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს განშორება დროებითია, რომ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, არამედ სწორედ გარდაცვალების შემდეგ იწყება მარადიული ცხოვრება, მონათლულ ყრმათათვის კი, როგორიც კიტა-კონსტანტინეა – მარადიული ნეტარი ცხოვრება.

მჯერა, მისი უკვდავი სული სავანესა მართალთასა დაიმკვიდრებს და შემწედ და მფარველად მოგევლინებათ. თქვენ კი უფალმა გაგაძლიეროთ რწმენაში, მოგცეთ მშვიდობა და ღვთის გზით დაუბრკოლებელი სვლის უნარი. აღდგომილმა მაცხოვარმა დაგიცვათ და განგამტკიცოთ, ამინ. ქრისტე აღსდგა!

## ვალერი და კონსტანტინე მელაძეები რუსეთიდან წავიდნენ



მომღერალი ვალერი მელაძე და მისი ძმა, კომპოზიტორი კონსტანტინე მელაძე, რუსეთიდან წავიდნენ. მათ რუსეთის დატოვებისა და საფრანგეთში გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ვალერი მელაძემ აეროპორტში ჟურნალისტების თვალწინ რუსეთის სახალხო არტისტის მოწმობა და კიდევ სხვა „ქაღალდები“ დაწვა.

ძმები მელაძეების ქმედებამ პუტინის იმპერია აღაშფოთა.

## კინოს სახლში სალომე ჯაშის აკრძალული ფილმი პარტიზანულად აჩვენეს

აცხადებს გივიკო არახამია, რომელიც კინოს სახლში „სინექსპრესის“ მიერ დაგეგმილ კინოჩვენებაზე იმყოფებოდა:

– სალომე ჯაშის ის ფილმი რომ აკრძალეს კინოს სახლში, ხომ იცით?! ჰოდა, ჩემმა ერთ-ერთმა საყვარელმა ონლაინგამოცემა „სინექსპრეს.ჯიმ“, რომელიც კინოს სახლში უსაყვარლეს ჩვენებებს აწყობს, ასე აიღო და გლიჯა სალომეს ჩვენება არსაიდან კინო სახლში! სხვა ფილმზე მისულს უცებ გამოუცხადეს, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს და გაუშვეს პარტიზანულად ეგრევე ჯაშის „მოთვინიერება“ კინოს სახლში, სადაც აკრძალეს. ხომ ვითომ არაფერი, მაგრამ, როგორ არაფერი, სიმბოლურადაც და ყველანაირად!

გაუმარჯოს „სინექსპრეს.ჯის“, რომელმაც დააფიქსირა თავისი აზრი და პოზიცია ცენზურის წინააღმდეგ, მზად არის ყველანაირი წინააღმდეგობისთვის და ჩვენი ყველას ვალია, გვერდით დავუდგეთ. გაუმარჯოს ცენზურის კლანჭების წინააღმდეგ ამოღებულ ყველა ხმას, ყველა დეტალსა და ყველა გადადგმულ პატარა ნაბიჯს, გაუმარჯოს ყველა „მოუთვინიერებელს“ და გაუმარჯოს დამოუკიდებელ ცენზურა თავზე გადალეწილ საქართველოს!

ფილმზე ძალიან ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ ისეთი ბასრია და ნამდვილი და იმდენი შეკითხვა მაქვს... კამერა იქ როგორ დადო, სადაც დადო, როგორ ჩაიწერა ის დიალოგები, რომლებიც ჩაიწერა, მთელი ბიძინეთი კამერის ჩანთაში ჩაისვა და მოასრიალა ისე, რომ ფესტივალით გაიგეს ეგ ამბავი. როგორი ფილმიც არის, როგორც გადაიღო და საერთოდ, როგორ პარტიზანულადაც იარა მთელმა ჯგუფმა, ზუსტად ეგეთი წინაღობა დახვდა სისტემისგან!

„სინექსპრესმა“ კინოს სახლში სალომე ჯაშის ფილმ „მოთვინიერების“ ჩვენებასთან დაკავშირებით კი ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

– ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „სინექსპრესი“ კინემატოგრაფისტთა პოლიტიკურად დამოუკიდებელი (და არა აპოლიტიკური) მოძრაობაა.

2019 წლის იანვრიდან მოყოლებული, პერიოდულად, სხვადასხვა ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში, ვთანამშრომლობთ საქართველოს კინოაკადემიასთან, რაც გულისხმობს მათი მხრიდან სივრცის – წითელი და ლურჯი დარბაზების დათმობას, ხოლო ჩვენი მხრიდან – ორგანიზებას ჩვენებებისა, რომელთა შემდგომაც ხშირად იმართებოდა დისკუსიები, მიმდინარეობდა ნანახზე მსჯელობა და აზრთა ცვლა, რაც კინოჩვენებების უცილობელი ნაწილია და რაც ფილმის ნახვის გამოცდილებას სულ სხვა ელფერს მატებს.

3 წლის განმავლობაში, მიუხედავად პერიოდული უთანხმოებებისა, ჩვენთვის არავის მოუცია დირექტივა, რა შინაარსის, რა პოლიტიკური თუ სოციალური მნიშვნელობის ფილმები უნდა გვეჩვენებინა ან არ უნდა გვეჩვენებინა. პროგრამას ვადგენდით ჩვენი ნებით, მაყურებლისთვის არაერთხელ შეგვითავაზებია იმგვარი ნამუშევრები, რომლებიც საკუთრივ შინაარსითა თუ ფორმით დამკვიდრებული სოციალ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჰეგემონურობის კრიტიკული გააზრების თანამედროვე თუ კლასიკური ნიმუშებია.

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს კინოაკადემიის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პირადი შეხედულების საფუძველზე დაბლოკა სალომე ჯაშის დოკუმენ-




ტური ფილმის ჩვენებები სივრცეში, რომელიც საჯარო კულტურული არეა და რომელიც მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, როგორც ახალგაზრდა, დამწყები, ასევე გამოცდილი რეჟისორებისათვის და, რა თქმა უნდა, მათი ნამუშევრებით დაინტერესებული მაყურებლისათვის.

აღნიშნული ქმედება, გარდა იმისა, რომ ცენზურის უხეში გამოვლინებაა, აკადემიის პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაგალითია, ხოლო ცენზურის თითოეული გამოვლინება ფილმების შექმნის თითოეულ ეტაპზე, იქნება ეს დაფინანსება, წარმოება თუ შემდგომი ჩვენებები, საავტორო თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვაა, რაც უთანასწორო პირობებს ქმნის, ახალისებს ნეპოტიზმსა თუ არაპროფესიონალიზმს და დარგს პოლიტიკურად მიკუთვნებული პირების ვიწრო ხედვას უქვემდებარებს.

ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა თითოეული კინოორგანიზაციის პრიორიტეტი ქართული ფილმების ადგილობრივი მაყურებლისთვის მასობრივი ხელმისაწვდომობის შექმნა უნდა იყოს. ფილმების ავკარგიანობაზე, მათ ფორმალისტურ თუ შინაარსობრივ მხარეებზე კინოს მკვლევრებმა, კინოკრიტიკოსებმა და თავად მაყურებელმა უნდა იმსჯელონ.


გაგრძელება მე-6 გვერდზე


## ასტროპროგნოზი



6 მაისისათვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. მედიცინაში გამოყენებული, ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 4. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 5. ბეისბოლისტის ამპლუა; 8. ქართული ფული; 9. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 10. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 12. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. მეოთხე საუკუნის ეკლესია ხაშურის რაიონში; 15. ოქროთი და ვერცხლით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა.

**თარაზულად:** 1. ძველებური ჯიბის საათი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. ლუდის სასმელი კათხა; 10. პატარა, მოკლებეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. მინერალური წყალი სამეგრელოში; 13. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 14. პირველი, ახლადმოსული თოვლი; 16. ღვინის პატარა ქვევრი; 17. შტატი აშშ-ში; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

